



ციხესიმაგრე

№ 135 / 6 - 12 მაისი / 2013

- შსს პროპორციულობის ზღვარს მიღება **გვ. 08**
ინტერვიუ ლევ გუდკოვთან და მარია ლიამათან **გვ. 10**
იქცა თუ არა კაცქასია მსოფლიო პროგლემად? **გვ. 18**
ნუ დაკარგავ ენერგიას, დახსარვე გონივრულად! **გვ. 28**
შემოწირულობებით დაკურეპული ადამიანები **გვ. 32**
ფოტორეალიზაცია: „სისტემა უცდა დაინგრეს!“ **გვ. 44**

ISSN 1987-7528



ფასი 2 ლარი



ԻԱՅ ԵԱՐԵՎԱՆ ՏԱՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

გაცემის შემთხვევაში
გაცემის დროის გადატრანსფორმირების
დროს გაცემის გადატრანსფორმირების
დროს გაცემის გადატრანსფორმირების
დროს გაცემის გადატრანსფორმირების

საქართველოს მთავრობა,
ყოველთვის კადენტის
სამეცნიერო.





მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქტორები

ლიკა ზაქაშვილი

ირაკლი ასაძე

შრომალისათვი:

ზურაბ გარდაშვილი, თათია ხალიანი,
ანი ჭავაცოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი
გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო
აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქეთევან ლევაშვილი

პორტრეტისათვი:

ლინა ლვინიანიძე, ვალერი ძუცველი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დწანანი

თორნიკე ლიორქეიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

გამოცემობა:

ლინეარიკი
შორენა შავერდაშვილი

შიზენესი განვითარების მარკეტი:

რუსულ ბარათაშვილი

პარატიკირაბა ურთიერთობის

მარკეტი:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამურიშვილი

შურნალის გამორჩევის მსურველები

დაგვიაუშირილი: 247 10 05.

„ლიბერალის“ ეს ნომერი 6 მაისს, აღდგომის მეორე დღეს გამოდის და გამიხარდა, როცა მოვიფიქრეთ რა უნდა ყოფილიყო უურნალის გარეკანზე. ეს არის მე-16 საუკუნის ფრესკა სვანეთიდან, ლაშტხვარის პატარა ეკლესიდან, რომელსაც „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“ ჰქვია. სააღდგომო სიუჟეტია – მკვდრეთით აღმდგარ იქსოს ადამი და ევა ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, „ლიბერალის“ თავს ბევრი ცვლილება მოხდა. შეიცვალა დამფუძნებელი პარტიის მედია დისლოკაციის ადგილი – რედაქციის მისამართი და დინამიკური ცხოვრება ახალი პრიორიტეტებით, პოლიტიკური წერისაგან განთავისუფლებული სარეკლამო ბაზრის პირის პირი. უურნალი ნაკლებ ყურადღებას დაუთმობს პოლიტიკურ სპეციალისტებს და იდეოლოგიებს, ყოველდღიურ, ხშირად უსაგრძო ხმაურს ძალაუფლებისათვის მეპრძოლი ბანაკებიდან და დაწერს ბევრად მეტს განათლებაზე, სოფლის მეურნეობის წარმატებულ და წარუმატებელ ინიციატივებზე, ფერმერებზე, ჯანდაცვისა და გარემოს პრობლემებზე, ახალგაზრდებზე და მათ პერსპექტივებზე, მეზობლებზე და მათ ხედვებზე. ხომ არ შეიძლება, მარადიულად პოლიტიკოსები გვეკრნახობდნენ საინფორმაციო დღის წესრიგს და მედიაც ქვევრის პრინციპით მუშაობდეს? როგორც BBC-ის ერთმა გამოცდილმა უურნალისტმა თქვა, ახალი ამბები არ ხდება მხოლოდ რესთაველის გამზირზე, ან კანცელარიაში, არც თუნდაც პარლამენტში. ახალი ამბები ხდება იქ, სადაც არიან ადამიანები, თავიანთი ყოველდღიური პრობლემებით.

ცვლილებების მიუხედავად (და ცვლილებები ძალაში მიყვარს), უცვლელია ერთი რამ – ჩვენი, როგორც დამოუკიდებელი მედიის ცხოვრება არ გაიოლებულა. ნინა კვირაში, ან უკვე საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ხათუნა გოგორიშვილის, სარულიად უპასუხისმგებლობრალდებობს ვიგერიებდით განათლების სამინისტროსთან „კორუფციულ გარიგების“ შესახებ და ამავე დროს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ვარკვევდით 1 მაისის აქციის დროს დაკავებული სტუდენტი აქტივისტებისა და უურნალისტებს ბედს. არადა, ძალიან მინდოდა, ამ კვირაში მაინც დამეღნია თავი ყოველდღიური მეზორისგან და ჩვენს სულიერ თუ კულტურულ მემკვიდრეობაზე მეფიერა.

სამწერარო ერთი რამაა – ჩვენი საჯარო სივრცე, რომელსაც სოციალური ქსელების კაკაფონიაც ემატება, რომელიც სულ უფრო მეტად იხუნძლება პროპაგანდითა და ლანძღვა-გინებით, თითქმის არ ტოვებს სივრცეს იმ შინარსისათვის, რომელიც ჩვენ, საზოგადოებას, „ჯოჯოხეთიდან ამოგვიყვანს“. მესმის, ყველაზე დიდი უზუსტობები განზოგადებებშია, მაგრამ მაინც მგონია, რომ არ ვიკვლევთ მთავარს – იმ ფაქტებსა და ფასულობებს, რომელზეც შევჯერდებით, რომელსაც გავიაზრებთ და გავიზიარებთ.

ქრისტე აღდგა!

შორენა შავერდაშვილი
მთავარი რედაქტორი



"უნივერსიტეტი ნამყვანი ცნები იყოს შემოქმედი"

სტუდენტური ჯგუფის „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისთვის“ თხოვნით ბატონ გია ეძვერაძეს ვთხოვე აზრი გამოეთქვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა – უფრო აქტიურადაც ჩართულიყო საზოგადოებრივ პროცესებში, რომელიც განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერას ისახავს მიზნად. თავიდან ბატონმა გიამ სტატიის დაწერის სურვილი გამოთქვა, ჩვენი მიმოწერის დასასრულს კი მომწერა: „მგონი, არავითარი სტატიის დაწერა აღარ არის საჭირო – ეს სამი წერილი სრულად ასახავს სიტუაციას: შესაძლებლობებს, სავარაუდო პრობლემებს და იმ დიდ სარგებელს, რაც სწორად გადაწყობის შემთხვევაში, შეიძლება, ამ სისტემამ მოიტანოს.“

▶ გიორგი კევლიშვილისა და გია ეძვერაძეს მიმოწერა
გვ.34

ჩვეულებები გამოწვევის გარეშე

მარია ლიპანი – რა თქმა უნდა, პუტინის ინაუგურაციის შემდეგ რეჟიმი ბევრად უფრო რეპრესიული გახდა. 2012 წლის 6 მაისს სახალხო მიტინგი პოლი-ციასთან შეტაკებებით და დაპატიმრებებით დასრულდა. მიტინგები 2011 წლის დეკემბრიდან დაიწყო და ძირითადად მშვიდობიანად მიდიოდა, ხელისუფლება კორექტულად იქცეოდა, თუ არ ჩავთვლით მცირე წინააღმდეგობებს აქციების გამართვის უფლების აღების დროს. მიტინგებზე არავის ცემდნენ, არავის იქერდნენ. 6 მაისს ეს ვითარება დასრულდა. დაიწყო შეტაკებები პოლიციასთან, უამრავი მომიტინგები დააკავეს, ნაწილი გამოუშვეს, მაგრამ დაახლოებით 30 ადამიანი წინასწარ პატიმრობაში რჩება და ერთი წელია მძიმე განაჩენების მოლოდინში ვართ. ეს რეუმის რეპრესიულობისკენ ცვლილების არა ერთადერთი, მაგრამ ყველაზე ცხადი დადასტურებაა. რაც დრო გადის, ასეთი ცვლილებები უფრო და უფრო მეტი ხდება.

▶ ნინო ბექიშვილი
გვ.31.10

შსს პრომისიონალის ზოგადი მილა

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არის უმთავრესი იარაღი მოქალაქეების ხელში საჯაროდ და სმამაღლა, მშვიდობიანი ფორმებით გავლენა მოახდინონ ხელისუფლების მიერ განხორცილებულ პოლიტიკაზე, რაც ბუნებრივია, არ იქნება სასურველი მოსასმენი ან დასანახი სახელმწიფოსთვის. თუმცა, დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის გამოხატვის ამ ფორმის არსებობა და მისი რეალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მასში ჩარევისას სახელმწიფო განსაკუთრებული სიურთხილით უნდა მოქმედებდეს.



ფაქტია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქციის მსვლელობაში ინტერვენცია წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში ჩარევას, რომელიც იმ შემთხვევაშიც კი, თუ ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, არ შეიძლება მივიჩნიოთ გამართლებულად, მინიმუმ გამოყენებული ძალის არაპროპორციულობის გამო.

▶ ლინა ღვინიანიძე
გვ.30.08

შახონის ეთნიკური განათლები

ავჭალის დასახლებაში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტერი უკვე 19 წელია, 1994 წლიდან მოქმედებს. მონასტერს რელიგიურს გარდა, სოციალური ფუნქციაც აქვს შეთავსებული. შემოწირულობები, რითაც მას მრევლი ეხმარება, მთლიანად გაჭირვებულ მოსახლეობას ხმარდება. ყოველდღიურად პირველიდან 2 საათამდე აქ თბილისის სხვადასხვა უბნიდან, საკვების მისაღებად ყველა ასაკის მოსახლეობა დადის. ნაწილი იქვე, სპეციალურად გამოყოფილ სატრაპეზოში იკვებება, ზოგს საკუები საკუთარი ოჯახის ნევრებისთვის სახლში მიაქვს.

სოფო აფციაური
გვ.32

ფოტოების მიმღება

„სისტემა უნდა დაინტერის!“



გიორგი გოგუა
გვ.44-51

გამოცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

უურნოლში გამოქვეყნებული მსალების ნაილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გვ.44:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეულის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი გამოცემულია 2009 წლის მაიში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



- 04 მოკლედ
კომენტარი
- 08 შსს პროპორციულობის ზღვარს
მიღმა
ინტერვიუ
- 10 რეჟიმი ბევრად უფრო რეპრესიული
გახდა
რეგიონი
- 18 იქცა თუ არა ჩრდილოეთ კავკასია
მსოფლიო პრობლემად?
მართლმსაჯულება
- 20 ჰელენ ბესტი: ურთულეს
მდგომარეობაში ხართ
განათლება
- 24 ახალი ბიუროკრატიული რგოლი
სასკოლო განათლების სისტემაში
ეკონომიკა
- 28 ნუ დაკარგავ ენერგიას, დახარჯე
გონივრულად!
საზოგადოება
- 32 შემოწირულობებით დაპურებული
ადგინანები
- 34 „უნივერსიტეტში წამყვანი უნდა
იყოს შემოქმედი“
- 40 შრომის უსაფრთხოების კურ
არასებული პოლიტიკა
ფოტორეპორტაჟი
- 44 „სისტემა უნდა დაინგრეს!“
ციტატები
- 52

1 მაისი მსოფლიოს სხვადასხვა ჯეოგრაფიაში



ტრადიციულად 1 მაისს ხალხმრავალი გამოსვლები იყო საბერძნეთში, სადაც მშრომელთა სოლიდარობის დღე პროფესიონალებმა 24-საათიანი გაფიცვით აღნიშნეს, რომლითაც მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას აპროტესტებდნენ. მთელ საბერძნეთში პარალიზმული იყო ტრანსპორტის მოძრაობა. ევროკავშირის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელმა საბერძნეთში 27,2%-ს მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

1 მაისს ათასობით ადამიანი შეიკრიბა ბანგლადეშშიც. გასულ კვირას სამეცნიერო ქარხანაში მომზღვარი ინციდენტის გამო 400 ადამიანი გადაიცვალა. დემონსტრაციები აქციისას უსაფრთხო სამუშაო პირობებსა და ქარხნის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვდნენ.

ფიზიკური შეხელა-შემოხლა მოხდა დემონსტრაციებსა და პოლიციას შორის თურქეთში. პოლიციამ დემონსტრაციის დროს დაასლოებით 20 ადამიანი დაკავა.

1 მაისი აღნიშნეს რუსეთშიც. წლევანდელ 1 მაისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საჭიროა ტრადიცია აღადგინა და რამდენიმე ადამიანი შრომის გმირის წოდებით დააჯილდოვა.

1 მაისი აღნიშნეს საქართველოშიც. სტუდენტების ორგანიზებული მსვლელობა პოლიციამ დაარბია. დააკავეს 30-მდე დემონსტრაციი, მათ შორის უურნალისტებიც. სტუდენტები ანტიკაპიტალისტურ მონაცემების გარდა კონკრეტულ მოთხოვნებსაც აყენებდნენ – შრომის კოდექსის გაუმჯობესება, 1 მაისი დასვე-

ნების დღედ გამოცხადება, მშრომელების მართვაში ჩართვის უზრუნველყოფა, უსაფრთხო სამუშაო პირობები და ა.შ. სტუდენტების გარდა საპირველმაისო აქცია გამართეს პროფესიონალებმაც.

ჩასათში აჩასამთავრობო ორგანიზაციის მასში პროცესი ბეჭდება

რუსეთში საერთაშორისო არასამთავრობოების კონფრონტი გრძელდება. რუსმა სამართალდამცავებმა არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი ვერდექტის“ წარმომადგენლების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ორგანიზაციამ „უცხოეთის აგენტად“ დარეგისტრირება ვერ მოახერხა. ამ სტატუსის მინიჭება საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ყველა ორგანიზაციისთვისაა სავალდებულო. „საზოგადოებრივი ვერდექტი“ პოლიციისგან დაზიანლებულ მოქალაქებს უწევდა დახმარებას. უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობას დახურვა და ძალიან დიდი ჯარიმის გადახდა შეიძლება დაეკისროთ. „უცხოეთის აგენტების“ შესახებ მიღებული ახალი კანონი საერთაშორისო დაფინანსების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას ხელს უშლის. ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ისინი ვლადიმერ პუტინის მმართველობის კრიტიკისთვის ისვებიან.

რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ და მთავარმა პროკურატურამ დაახლოებით 500 ორგანიზაციის შემოწმება დაიწყო. ბევრი ორგანიზაცია აცხადებს, რომ შემოწმებას ატარებენ ასევე საგადასახადო პოლიციის, საემიგრაციის, სანიტარული და სახანძრო ინსპექტორებიც კი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ბელონას“ გენერალურმა პროკურატურამ იფისში ჰაერის შემოწმების შემდეგ სანიტარული ნორმების დარღვევაში დასდო ბრალი.

ორგანიზაციას, საბოლოო ჯამში, ჯარიმის სახით 20 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. რუსი უფლებადამცველი ლუდმილა ალექსეევა ამბობს, რომ ხელისუფლება ბოლო დამოუკედებელ სივრცეს, სამოქალაქო საზოგადოებას ანგრევს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ხშირად აკრიტიკებდა. ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ვლადიმერ პუტინს არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებული საპროტესტო და კრიტიკული განწყობა არ მოსწონს.

აშშ-ს პენიტენციალი ბახა მიმდინარეობის სისტემის დამატებით განვითარება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას თქმით, გუანტანამოს ციხე ამერიკის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი არ არის. ამ ციხის დახურვის პირობას, რომელშიც ახლა 100-მდე პატიმარი შიმშილობს ბარაკ ობამა ჯერ კიდევ 2008 წელს დგებდა.

„2008 წელს, როდესაც ამირჩიეს, ვამბობდი, რომ გუანტანამოს ციხე უნდა დაიხუროს. მე კვლავინდებურად ასე მიმართია. გუანტანამოს ციხე არ არის აუცილებელი აშშ-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და მისი შენახვა სახელმწიფოს ძეირი უჯდება. ის უნდა დაიხუროს“, – ამბობს ბარაკ ობამა და პირობას დებს, რომ ადმინისტრაციას კონგრესთან მოლაპარაკების დაწყების მითითებას მისცემს.

ამჟამად ციხეში 166 პატიმარი იმყოფება, მათმა ნაწილმა შიმშილობა 6 თებერვალს გამოაცხადა. ამჟამად ციხეში 166 პატიმარი იმყოფება, მათმა ნაწილმა შიმშილობა 6 თებერვალს გამოაცხადა.



სისტემის პენიტენციალი მიმდინარეობის სისტემის დამატებით განვითარება

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა დამასკეოს ელექტრონისადგურის თანამშრომლებს 1 მაისი მიულოცა. ბაშარ ასადის განცხადებით, ტერორისტები და მათი მხარდამჭერები, ცდილობენ



მსოფლიოს საქართველოსთან დაკავშირება

საავიაციო სექტორის ერთ-ერთი უახლესი ავიაკომპანია FlyGeorgia, Arabian Travel Market (ATM)-ის ფარგლებში მოგზაურებს ორ ახალ მომსახურებას სთავაზობს – FlyGeorgia Holidays და FlyGeorgia სამოგზაურო ბარათს.

2013 წლის 29 აპრილს – ზესტად საზაფხულო ტურიზმის სემინარის დასაწყისისათვის ავიაკომპანია, FlyGeorgia, Arabian Travel Market (ATM)-ის ფარგლებში, ქმნის ორ ახალ მომსახურებას. FlyGeorgia Holidays და FlyGeorgia სამოგზაურო ბარათი ექსკულუსიური სერვისებია ავიაკომპანიის მომხმარებელთათვის. FlyGeorgia Holidays ტურისტული სააგნენტოა, რომელიც გვთავაზობს სპეციალურ ტურისტულ პაკეტებს მოგზაურთათვის. FlyGeorgia Holidays უზრისტული სააგნენტოა, რომელიც გვთავაზობს სპეციალურ ტურისტულ პაკეტებს მოგზაურთათვის. FlyGeorgia Holidays უზრუნველყოფს ყველაფერს დაწყებული სასტუმროსა და ფრენის დაჭავშნიდან, დამთავრებული ვიზითა და ტურისტული ექსკურსიებით. FlyGeorgia სამოგზაურო ბარათი წინასწარგადახდილი MasterCard-ია, რომელიც ხელმისაწვდომია FlyGeorgia-ს ყველა მგზავრისათვის და წარმოადგენს უცხო ქვეყანაში ნაღდი ფელის ტარების უსაფრთხო და მარტივ ალტერნატივას. სამოგზაურო ბარათის გამოყენება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას, სადაც MasterCard-ი მოქმედებს. თუკი მგზავრებმა ავიაკომპანია FlyGeorgia-ს ბილეთი სამოგზაურო ბარათის გამოყენებით შეიძინეს, მათ თანხის 3% დაუბრუნდებათ.

„ამ წლის Arabian Travel Market (ATM)-ში ჩვენი მონაწილეობის მთავარი მიზანია არაბული ბაზრისათვის საქართველოს წარდგენა და ტურისტების ინიციატივება ქვეყნის შიგნით არსებული ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ“, – აცხადებს მედიასთან ურთიერთობის დირექტორი, თანაბ ჟესეინპური. „მას შემდეგ რაც ტურისტი გაეცნობა თუ რა შეიძლება მას საქართველომ შესთავაზოს, ჩვენ მათ წარვუდგენთ ქვეყანაში ვიზიტისა და შეთავაზებული ადგილების ღირშესანიშნაობების ნუსხასა და მათი მონახულების საშულებებს“.

ერთ წელზე ნაკლებ დროში, FlyGeorgia-მ დაასრულა სამ კონტინენტზე ათი მიმართულების შექმნა. ამჟამად ავიაკომპანია უახლოესი მომავლისთვის კიდევ უფრო ამბიციურ მიზნებს ისახავს. ერთ-ერთი მიზანია 2013 წლის


აზიური ბაზრის ფარგლებში დამატებითი რეისების შექმნა, რაც მგზავრებს უფრო ფართო არჩევანს შესთავაზებს. ასევე, FlyGeorgia-ს მიზანია უზრუნველყოს თავისი მომხმარებელებისთვის საკუთხეს მომსახურება და იზრუნოს მათზე, FlyGeorgia-სთან ერთად მგზავრობის გადაწყვეტის მომენტიდან სახლში დაბრუნებამდე.

თუ გადავხედავთ 2013 წელს და უფრო ადრეულ პერიოდს, FlyGeorgia-ს გაფართოების გეგმა მოიცავს არსებულ ფლოტზე თვითმფრინავების დამატებას, რაც ბუნებრივია დაეხმარება ავიაკომპანიას თავისი მიზნს განხორციელებაში – გაზარდოს მომსახურება მოგზაურთათვის და შექმნას მეტი მიმართულება და რეისი. ავიაკომპანიის არსებული ფლოტი შედგება ოთხი ტერიტორიულისაგან, რასაც მაღლება დაემატება ორი ახალი თვითმფრინავი, რომელიც, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის ამოქემდდება. ავიაკომპანია FlyGeorgia, ასევე, 2013 წლის მაისიდან აცხადებს უახლეს მიმართულებებს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში.

FlyGeorgia ქართული ავიაკომპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს დაკავშირებას მსოფლიოსთან, რათა ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას, ეკონომიკურ ზრდას და ქვეყნის პოპულარიზაციას. FlyGeorgia არის კერძო და ამავე დროს ერთადერთი ავიაკომპანია, რომელსაც გააჩნია აერობუსების ფლოტი, რომელიც ფრენებს ასრულებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან. ექვს თვეზე ნაკლებ დროში მათ შექმნეს საფრენი მარშრუტები ათი მიმართულებით სამ კონტინენტზე. FlyGeorgia არის საქართველოს სახელით მოქმედი სრული მომსახურების ავიაკომპანია, რომელიც წარმოაჩენს ქვეყნის ხანგრძლივ და მდიდარ ტურისტულ ისტორიას. FlyGeorgia ცვლის წარმოდგენას საავიაციო ბაზრის სრული მომსახურების შესახებ. მისი უპირატესობაა შემოგვთავაზოს ღირებული წინადადება დაბალ ფასად.



The logo for FlyGeorgia features the company name in a bold, red, sans-serif font. A stylized red bird or wing graphic is positioned above the letter 'G' in 'Georgia', with its tail extending towards the right.



ქვეყანაში სიბნელემ დაისადგუროს, როგორც ინტელექტუალურ და კულტურულ სფეროში ასევე პირდაპირი გაგებითაც – ელექტრონულების მიწოდების შეწყვეტით.

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ელექტრონადგურის თანამშრომლებს მდგრადობისა და ტერაქტების პარალელურად სრულყოფილი მუშაობისთვის დიდი მადლობა გადაუხადა. 30 აპრილს სირიაში მომხდარ აფეთქებას 14 ადამიანი ემსხვერპლა.

ბოსნა ჩახელვის სამი მაგრძანი ეანავა

აშშ-ს ტერაქტში ეჭვმიტანილი ჯოხარ ცარნაევის სამი მეგობარი ბოსტონის პოლიციამ დაკავავა. პოლიციის განცხადებით, აზამატ ტაუაიაკოვმა და დიას კადირბაევმა ჯოხარ ცარნაევის დატომი და ზურგჩანთა გადამალეს; მათ ასევე ბრალად ედებათ სამხილების განადგურება. რობელ ფილიპსონს კი გამოძიებისთვის ცრუ ჩვენების მიცემა ედება ბრალად. პოლიციის განმარტებით, არც ერთი მათგანი არ მონაწილეობდა თავდასხმის ორგანიზებაში.

ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, კადირბაევსა და ტაუაიაკოვს 5-წლია-

ნი პატიმრობა და 250 ათასი დოლარი ჯარიმა ელით, ფილიპსონს კი 8 წლით თავისუფლების ადგეთა ემუქრება. ბოსტონის მარათონის დროს აფეთქებისას სამი ადამიანი გარდაიცვალა, ასობით ადამიანი კი დაშავდა. ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით 19 წლის ჯოხარ ცარნაევი და მისი ძმა ტამერლან ცარნაევი დაკავეს. ტამერლან ცარნაევი აყვანის დროს პოლიციამ მმიმედ დაჭრა, რის შედეგადაც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სომალიშ შიმშილით 260 000 პაციუნი გახდასვაც

2010-2012 წლებში სომალიში შიმშილით 260 000 ადამიანი გარდაიცვალა. მათი უმეტესობა ბავშვი და ქალია. გაეროს განცხადებით ათასობით ადამიანის სიკვდილის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები დროულად აღმოჩენდნენ სომალიში შიმშილის საფრთხეს.

სომალის იმ ნაწილში, რომელსაც მილიტარისტი ისლამისტები აკონტროლებენ, შიმშილობის დაწყება გაერომ 2011 წლის ივლისში გამოაცხადა. შიმშილობა თანდათან მთელ სომალიში გავრცელდა. 2012 წელს გაერომ მთელ სომალიში ში-

მშილობის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია.

მთელი მოსახლეობის 4.6 და 5 წლამდე ასაეს ბავშვების 10 პროცენტი გარდაიცვალა სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში. სომალიში ბავშვებში კვებითი დეფიციტი და სიკვდილიანობის დონე კვლავ მაღალი რჩება.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლება განაცხადეს, რომ სომალის ესტუმრებიან და შიმშილის მიზეზების დადგენას ეცდებიან, რათა შემდეგში სომალიმ მსგავსი საფრთხეები აიცილოს. „სომალის შიმშილობა მსოფლიოს ბოლო დროს ყველაზე დიდი საშინელება იყო“, – ამბობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელი.

ბოლო 20 წლის განმავლობაში სომალიში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. **█**



STAY HEALTHY



If you are willing to live a healthy life, our Fitness Room with its carefully created Fitness Menu is the exact decision!

What's so important,
it is always fresh and will
help you gain energy
before and after work-out.



1, 26 May Square, 0171 Tbilisi, Georgia
T: +995 32 2300099
www.hi-tbilisi.com


Holiday Inn
TBILISI

შსს პრომისიცობის ზღვას მილა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქციის მსვლელობაში ინტერვენცია წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში ჩარევას, რომელიც იმ შემთხვევაშიც კი, თუ ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, არ შეიძლება მივიჩნიოთ გამართლებულად, მინიმუმ გამოყენებული ძალის არაპროპორციულობის გამო.

ლინა ლვინიანიძე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

1 მაისს მშრომელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული მანიფესტაცია, რომელსაც ორგანიზებას „ლაბორატორია 1918“ უწევდა, პოლიციის თანამშრომელებსა და აქციის მონაწილეთა მორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. პოლიციამ მსვლელობის ათეულობით მონაწილე დაკავა, დაკავებულთა შორის იყვნენ უურნალისტებიც, რომლებიც ადგილზე სამსახურებრივ საქმიანობას ახორციელებდნენ. დარჩენილ მანიფესტაციებს არ მიეკათ მანიფესტაციის მარშრუტის შესაბამისად გაგრძელების შესაძლებლობა და მოგვიანებით მათ სხვა მიმართულებით გააგრძელეს მსვლელობა.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერია მანიფესტაციის უფლების განხორციელებაში. ამ შემთხვევის პრეცედენტული მნიშვნელობა გვავალდებულებს კიდეც სათანადო შევაფასოთ სახელმწიფოს ქმედებები და ამ ქმედებების განმარტებები, რომელიც დღეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლების მიერ ვრცელდებოდა. სახელმწიფოს გუშინდელი ქმედება და მისა შეფასებები შეიძლება იყოს ინდიკატორი იმისა, თუ როგორ ხედავს ახალი ხელისუფლება ადამიანის უფლებების მნიშვნელობას და საკუთარ როლს მათი უზრუნველყოფისას. ამ გააზრებისას არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პროცესში საკანონმდებლო ხელისუფლების როლი, იყო თუ არა ის კრიტიკული ან დაგჭვებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერდებებში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პოლიციის ქმედებებმა ბუნებრივად

გააჩინა კითხვის ნიშანები ადამიანის უფლებების არაპროპორციული შეზღუდვის თვალსაზრისით.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არის უმთავრესი იარაღი მოქალაქეების ხელში საჯაროდ და ხმამაღლა, მშვიდობიანი ფორმებით გავლენა მოახდინონ ხელისუფლების მიერ განხორცილებულ პოლიტიკაზე, რაც ბუნებრივია, არ იქნება სასურველი მოსასმენი ან დასანახი სახელმწიფოსთვის. თუმცა, დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის გამოხატვის ამ ფორმის არსებობა და მისი რეალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მასში ჩარევისას სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოქმედებდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება და გავრცელებული მინისტრის შეფასებები, პოლიციის მხრიდან მანიფესტაციის უფლების განხორციელებაში ჩარევის ორ საფუძველზე მიუთითებს. პირველი, შეზღუდათ მანიფესტაციაზე მიერ გზის სავალ ნაწილზე მსვლელობა, რაც სამინისტროს შეფასებით უკანონო ქმედებას წარმოადგენდა და მეორე, პოლიციას აღეკვეთა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები, რაც მათივე განმარტებით, აქციის მონაწილეთა დესტრუქციულმა და აგრესიულმა ქმედებებმა გამოიწვია.

ფაქტია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქციის მსვლელობაში ინტერვენცია წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში ჩარევას, რომელიც იმ შემთხვევაშიც კი, თუ ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, არ შეიძლება სახურებოდა კანონიერ მიზანს, არ შეიძლება



ფოტო ბერები გრიგორია

მშრომელთა უფლებების დაცვის საქართაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული მანიფესტაცია, თბილისი, 1 მაისი, 2013

მივიჩნიოთ გამართლებულად, მინიმუმ გამოყენებული ძალის არაპროპორციულობის გამო. მედია საშუალებების მიერ გაერცლებულ კადრებში არ ჩანს დაპირისპირების დაწყების მომენტი და იმ პირთა ქმედებები, რომელიც პოლიციელთა მხრიდან შესაძლოა აღქმული ყოფილიყო, როგორც სამართალდარღვევა, თუმცა, კადრები ასახავს აქციის მონაწილეთა დაკავების შემთხვევებს, სადაც წინააღმდეგობის გაწევა რიგ შემთხვევებში მონაწილეთა მიერ პოლიციელებთან კამათით გამოიხატებოდა. მაშინაც კი, თუკი სახელმწიფო დაასაბუთებს ცალკეული პირების მხრიდან დესტრუქციული ქმედებების არსებობას და მათი დაკავების აუცილებლობას, მას გაუჭირდება გამართლოს იმ პირთა დაკავებები, რომელიც არათუ საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევდნენ, არამედ არც კი იმყოფებოდნენ გზის სავალ ნაწილზე.

პოლიციელთა მიერ ძალის არაპროპორციულ გამოყენებას ასევე ადასტურებს მანიფესტაცია დაკავების ფორმები, რომლებსაც

თავად დაკავებულები და აქციის სხვა მონაწილეები აღწერენ. მშვიდობიანი მანიფესტაციის პირობებში, პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა რიცხვიც, რომელიც 25-ს აღწევდა, შესაძლოა მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოს მიერ დაკავება გამოყენებულ იქნა არა როგორც უკიდურესი საშუალება დარღვევის აღსაკეთად, არამედ სტანდარტული მიდგომა მანიფესტაცია მიმართ. პოლიციელების მხრიდან უურნალისტების დაკავება და მათთვის საქმიანობაში მიზანმიმართული ხელის შეშლა, ასევე არის ის ქმედება, რომელზეც სამინისტროს სათანადო რეაგირება უნდა მოეხდინა, თუმცა მინისტრმა პოლიციელთა მოქმედება შეაფასა, როგორც „სრულებით ადეკვატური.“

პოლიციელთა ერთჯერადი გადაცდომა სახითათოა უშუალოდ იმ მოქალაქისთვის, რომელსაც ის შეეხება, მაგრამ მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის კანონიერებაში თავდაჯერებული აღმასრულებელი ხელისუფლება სახითათოა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. **¶**



ჩემი ბავშვების ერთობლივობა და მარია ლიპმანი

ლევ გუდკოვი და მარია ლიპმანი საქართველოში ჰაინრიშ ბიოლის ფონდის მოწვევით იმყოფებოდნენ. „სტალინის თავსატეხი“ – ასე ჰქვია წიგნს, რომელიც კარნეგის ცენტრის პროექტის ფარგლებში მომზადდა. მარია ლიპმანი კარნეგის ცენტრის რუსული ბიუროს მკვლევარია, ლევ გუდკოვი კი – რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოციოლოგიური კვლევითი ორგანიზაციის „ლევადას ცენტრის“ დირექტორი.

ლიბერალი რუს მკვლევრებს თანამედროვე რუსეთის პრობლემების შესახებ ესაზღა.

რა შეიცვალა რუსეთში მას შემდეგ, რაც პუტინი მესამედ გახდა ქვეყნის პრეზიდენტი? ძალიან შესამჩნევია ეს ცვლილებები?

მარია ლიბანი: რა თქმა უნდა, პუტინის ინაუგურაციის შემდეგ რეჟიმი მეტად უფრო რეპრესიული გახდა. 2012 წლის 6 მაისს სახალხო მიტინგი პოლიციასთან შეტაკებებით და დაპატიმრებით დასრულდა. მიტინგები 2011 წლის დეკემბრიდან დაიწყო და ძირითადად მშვიდობიანად მიღიოდა, ხელისუფლება კორექტულად იქცეოდა, თუ არ ჩავთვლით მცირე წინააღმდეგობებს აქციების გამართვის უფლების აღდების დროს. მიტინგებზე არავის სცემდნენ, არავის იქტიდნენ. 6 მაისს ეს ვითარება დასრულდა. დაიწყო შეტაკებები პოლიციასთან, უამრავი მომტინებები დააკავეს, ნაწილი გამოიშვეს, მაგრამ დაახლოებით 30 ადამიანი წინასწარ პატიმრობაში რჩება და ერთი წელია მიმდე განაჩენების მოლოდინში ვართ. ეს რეჟიმის რეპრესიულობისკენ ცვლილების არა ერთადერთი, მაგრამ ყველაზე ცხადი დადასტურებაა. რაც დრო გადის, ასეთი ცვლილებები უფრო და უფრო მეტი ხდება.

საკანონმდებლო ცვლილებებიც აჩვენებს, რომ ხელისუფლება უფრო და უფრო ავტორიტარული ხდება – კანონები, რომლებიც ამ ბოლო დროს მიიღეს – არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, ბავშვების ამერიკაში გამშვილების შესახებ, პომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, – სწორედ ამაზე მიანიშნებას. როგორი დამოკიდებულება აქვს რუსეთის მოსახლეობას საკანონმდებლო ცვლილებებთან?

ლევ გუდოვი: ამ მიმართულებით საზოგადოებრივ აზრს მუდმივად ვიკლევთ. ეს კანონები მოსახლეობის მიერ აღიქმება, როგორც მცდელობა

პირი ამოუკერონ ოპოზიციას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დიდი ქალაქებისა და რეგიონების მოსახლეობის ინფორმაციას იღებს მოსახლეობა პრესიდან და პირდაპირ კავშირში იმასთან, თუ რა სახის ინფორმაციას იღებს მოსახლეობა პრესიდან და უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიიდან. რუსული პროვინციის სოფლებისა და პატარა ქალაქების მცხოვრებლებს – ეს კი მთელი მოსახლეება, „აშშ-ში რუსეთიდან ბავშვების გაშვილებას კრძალავს), აქ ცოტა განსხვავებული ვითარებაა. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს მოსწონს ის, რომ აშშ რუს კორუმპირებულ ჩინოვნიკებს აკრძალვებს უწესებს.

მარია ლიბანი: რაც შეეხება ანტიმაგნიტსკის კანონს, ხელისუფლების რიტორიკა ასეთი იყო – მოდით, ავერძალოთ ამერიკაში ჩვენი ბავშვების გაყიდვაო. შეუძლებელია ასეთ ფორმულირებას მხარი არ დაუჭირო – ცხადია, არავის უნდა ბავშვები სადმე გაყიდონ. მეორე თეზისი, რომელზედაც მუდმივად აქცენტს სვამს ხელისუფლების მხარდამჭერი ტელე-მედია, ასეთია: – ჩვენს ბავშვებს ამერიკაში კლავენ. ის რამდენიმე ტრაგიული შემთხვევა, როცა რუსეთიდან გაშვილებული ბავშვები ამერიკაში დაიღუპნენ, ტელევიზიის მიერ ვრცელდება და გადმოიცემა ისე, რომ მოსახლეობას შთაბეჭდილება ექმნება – ნებისმიერი ბავშვი, რომელიც ამერიკაშია გამვილებული, სასიკვდილო საფრთხის წინაშე დგას. მეორე მხრივ, მოფიციალურ ტელეარხებზე არ ჩანს, რა მდგომარეობაში არიან მიუსაფარი ბავშვები რუსეთის ბავშვთა სახლებში, მით უმეტეს, ტელეარხებზე არ ჩანან ავადმყოფი ბაშვები, რომელებსაც, თუკი მიმდე ფიზიკური ან ფსიქიკური დარღვევა აქვთ, რუსეთში სიკვდილი ელით. როცა ასეთ ინფორმაციას იღებენ, ბუნებრივია, ადამიანები მხარს უჭერენ ხელისუფლებას.

ხელისუფლების დაახლოებით ორი მესამედია – ხელი არ მიუწვდება იმ ინფორმაციაზე, რომელსაც დიდი ქალაქების მოსახლეობა იღებს. ამიტომაც დიდ ქალაქებში გამოკვეთილად ნეგატიური დამოკიდებულებაა ახალი კანონების მიმართ. პროვინციაში კი უფრო მეტად ინფორმაციის ფოციალურ წყაროებს ეყრდნობიან და ძირითად მიესალმებიან კანონს ცენზურის შესახებ, კანონს ცილისწამების შესახებ... რაც

შეეხება, „ანტიმაგნიტსკის“ კანონს (ასე უწიდებენ კანონს, რომელიც რუსეთის დუმამ ე.წ. მაგნიტსკის სის საპასუხოდ მიიღო და აშშ-ში რუსეთიდან

ბავშვების გაშვილებას კრძალავს), აქ ცოტა განსხვავებული ვითარებაა. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს მოსწონს ის, რომ აშშ რუს კორუმპირებულ ჩინოვნიკებს აკრძალვებს უწესებს.

მარია ლიბანი: რაც შეეხება ანტიმაგნიტსკის კანონს, ხელისუფლების რიტორიკა ასეთი იყო – მოდით, ავერძალოთ ამერიკაში ჩვენი ბავშვების გაყიდვაო. შეუძლებელია ასეთ ფორმულირებას მხარი არ დაუჭირო – ცხადია, არავის უნდა ბავშვები სადმე გაყიდონ. მეორე თეზისი, რომელზედაც მუდმივად აქცენტს სვამს ხელისუფლების მხარდამჭერი ტელე-მედია, ასეთია: – ჩვენს ბავშვებს ამერიკაში კლავენ. ის რამდენიმე ტრაგიული შემთხვევა, როცა რუსეთიდან გაშვილებული ბავშვები ამერიკაში დაიღუპნენ, ტელევიზიის მიერ ვრცელდება და გადმოიცემა ისე, რომ მოსახლეობას შთაბეჭდილება ექმნება – ნებისმიერი ბავშვი, რომელიც ამერიკაშია გამვილებული, სასიკვდილო საფრთხის წინაშე დგას. მეორე მხრივ, მოფიციალურ ტელეარხებზე არ ჩანს, რა მდგომარეობაში არიან მიუსაფარი ბავშვები რუსეთის ბავშვთა სახლებში, მით უმეტეს, ტელეარხებზე არ ჩანან ავადმყოფი ბაშვები, რომელებსაც, თუკი მიმდე ფიზიკური ან ფსიქიკური დარღვევა აქვთ, რუსეთში სიკვდილი ელით. როცა ასეთ ინფორმაციას იღებენ, ბუნებრივია, ადამიანები მხარს უჭერენ ხელისუფლებას.

სხვა დამოკიდებულება აქვთ იმათ, ვისაც ხელი მიუწვდება ინფორმაციაზე, ასეთი ინფორმაცია ინტერნეტში დიდე რაოდნობითაა – ერთი მხრივ, მისი შესახებ, რა ხდება რუსეთის ბავშვთა სახლებში და მეორე მხრივ – ბევრია იმ ახალგაზრდების წარმატებული ისტორიები, რომლებიც მცდელობას გააშვილეს და ამერიკაში გაიზარდნენ.

ამერიკაში ბაგშეგების გაშვილების აკრძალვას ენინააღმდეგება უმცირესობა, ისიც – დიდი ქალაქების მცხოვრებთა უმცირესობა...

ისეთი ტელეარხები, როგორიცა RTVI და „დოკუმენტი“, რუსეთის პროგნოზიებში მიუწვდომელია?

მარია ლიპმანი: RTVI -ის რუსეთის მოსახლეობა თითქმის არ უყურებს. ეს ტელევიზია, ძირითადად, რუსი ემიგრანტებისთვისა – უყურებენ ამერიკაში, ისრაელში, გერმანიაში, მაგრამ არა – რუსეთში. „დოკუდს“ უფრო და უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, თუმცა ის საკაბელო ან ინტერნეტ ტელევიზიაა და მისი აუდიტორია მაინც შეზღუდულია. მაგრამ თუკი თქვენ მოსკოველ ლიბერალურად განწყობილ ახალგაზრდებთან მოხვდებით, და სწორედ ისინი მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში, მუდმივად მოისმენთ საუბრებს იმაზე, რასაც „დოკუდში“ უყურებენ.

ლევ გუდკოვი: ეს მაინც მცირე აუდიტორიაა, თუმცა რუსეთში საკაბელო ტელევიზიის მაყურებელთა რაოდენობა 7%-დან გაიზარდა 10-12%-მდე. ასევე, კვლევებით დასტურდება, რომ ტელევიზია ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი გამავრცელებელია.

ისიც მინდა ვთქვა – მოსკოვი ძალიან განსხვავდება დანარჩენი რუსეთისგან – გარემოც, ინფორასტუქტურაც, ადამიანებიც. საკარისია გითხრათ, რომ მოსკოვში დასაქმებულთა ნახევარზე მეტს უმაღლესი განათლება აქვს, მაშინ, როცა მთელ ქვეყანში უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა მხოლოდ 24%-ია.

რუსეთში ასევე შეზღუდვები დაუწესეს არასამთავრობო სექტორს. ეს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს ეხება, რომლებიც ადამიანის უფლებებზე მუშაობს თუ სხვებსაც?

მარია ლიპმანი: ანტიმაგნიტსკის კანონის შემადგენელი ნაწილია იმ ორგანიზაციების მუშაობის აკრძალვა, რომლებიც ამერიკიდან ფინანსდება.

კანონის ეს ნაწილი ჯერჯერობით არ ამოქმედებულა. ჯერ საუბარია კანონზე „უცხოელი აგენტების შესახებ“. ეს სხვა კანონია, რომელიც მოითხოვს, რომ ორგანიზაციებმა, რომლებიც საერთაშორისო ფონდების მიერ ფინანსდება და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევიან, უცხოელი აგენტის წოდება აიღონ. მოსკოვში ამ კანონს „ყვითელი ვარსკვლავის კანონს“ უწოდებენ. ის შარშან მიიღეს და 2013 წლის მარტამდე არ ამშავებულა. მარტიდან სხვადასხვა ორგანობის მიერ, პროკურატურიდან დაწყებული საინტარული სამსახურით დამთავრებული, არასამთავრობო ორგანიზაციების მასობრივი შემოწმებების კამპანია დაიწყო. ამ შემოწმებების მიზანს პრეზიდენტი პუტინი და პროკურატურის ჩინოვნიკები სხვადასხვანაირად ხსნიან. მაგრამ ხელისუფლების მიზანი ნათელია – უცხოელი აგენტების გამოვლენა და მათი დასჯა.

საერთაშორისო ორგანიზაციები ისევ მუშაობენ რუსეთში?

ლევ გუდკოვი: USAID-ი რუსეთიდან წავიდა, სწორი იქნება თუ ვიტყვით, გააგდეს. მათი პროგრამები შეჩერებულია, ოფისები დაკეტილია. USAID-ი არამხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებდა, არამედ, ხელისუფლებასაც ეხმარებოდა – „ედინაა“ როსიას“ და, მაგალითად, მოძრაობა „ნაშის“. თუმცა, რუსეთის ხელისუფლებამ ამ ყველაფერს ხაზი მიანც გადაუსვა.

მარია ლიპმანი: ამას გარდა რუსეთში მუშაობა შეწყვიტა საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) და ნაციონალურ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI). ამერიკის რესპუბლიკური პარტიის ეს ორი ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ USAID აფინანსებდა ბევრ სხვადასხვა სამედიცინო და სოციალურ პროექტს – როგორიცაა, მაგალითად, ტუბერკულოზის გავრცელების ნინაღალმდეგ ბრძოლა. ბევრი ორგანიზაცია, რომელიც უკვე

თითქმის ორი ათწლეულია არსებობს, ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდა. ჯერჯერობით რაღაც პროექტები ისევ გრძელდება, მაგრამ სრულიად გაურკვეველია, მომავალში როგორ შეძლებენ მუშაობას.

აკრძალვა მხოლოდ ამერიკულ ორგანიზაციებს ეხება თუ ევროპულებსაც?

მარია ლიპმანი: ფორმალურად ევროპული ორგანიზაციებისთვის რუსეთში მუშაობა არ აუკრძალავთ. მაგრამ დღევანდელი შემოწმებების კამპანია ევროპულ ფონდებსაც შეეხო, მათ შორის, გერმანულ ფონდებსაც, რომლებიც საპარლამენტო პარტიებთან მუშაობენ. ძალიან უცნაურია, რომ პროკურატურა ამოწმებს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ძალიან ლოიალურები არიან პუტინის ხელისუფლების მიმართ. ამივე შემოწმებების ტალღაში მოყვა ისეთი ორგანიზაციაც, როგორიაა „ფრანგული ალიანსი“, რომელიც ფრანგული ენისა და უკლტურის პროპაგანდას ეწევა. ამოწმებენ იმათაც, რომლებსაც პოლიტიკურ მოღვაწეობასთან არანარი შეება არ აქვთ.

ლევ გუდკოვი: თანაც, რუსული კანონმდებლობა არანარიად არ განმარტავს, რა არის პოლიტიკური მოღვაწეობა, ამიტომაც აქ შეუძლიათ იგულისხმონ ყველაფერი, რაც გაუხსარდებათ. მით უმეტეს, თუკი საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენასაც მიათვლიან, შეუძლიათ დევნა ნებისმიერი საბაბით დაიწყონ.

მარია ლიპმანი: ეს ყველაზე დიდი კამპანიაა არასამთავრობო სექტორის წინააღმდეგ. უკანასკნელ ნლებში სხვადასხვა კამპანიები იყო აქტივისტების წინააღმდეგ, მომიტინგების წინააღმდეგ, იღებდნენ კანონებს, მაგრამ ასეთი მასობრივი ზეწლილა არასამთავრობო ორგანიზაციებზე აქამდე არასდროს ყოფილა. შემოწმება მიდის 50 რეგიონის 200-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციაში. თუმცა, შეგვიძლია ვიგარაუდოთ, რომ გაცილებით მეტ ორგანიზაციას ამოწმებენ, იმიტომ, რომ ყველა არ ასაჯაროებს ამ შემოწმების ფაქტს.

თუკი ეს კამპანია გაგრძელდა, როგორ ხდავთ, რა ელის რუსეთში არასამთავრობო სექტორს?

ახლა სექტორზე კი არა, იმ კონკრეტულ ადამიანებზე უფრო ვფიქრობთ, რომლებიც განაჩენს დღე-დღეზე ელინ. ბევრი მათგანი უკვე თვეებია წინასწარი დაკავების იზოლატორშია – უპირველესად, 6 მაისის პატიმრებს ვგულისხმობ. რამდენიმე ადამიანი ამ დღეებშიც დაკავეს. სწორედ ახლა მიდის დაპატიმრებების ახალი ტალღა.

უნდა ვისაუბროთ სერგეი უდალ-ცოვზე და ალექსეი ნავალნიზე. უდალცოვი შინაპატიმრობაშია და მყარი საფუძველი გვაქვს ვივა-რაუდოთ, რომ მიიღებს საპატიმრო სასჯელს, 6 მაისის საქმე ისე მიდის, რომ ალბათ უდალცოვს დასდებენ ბრალს ამ აქციის ორგანიზებაში. ალექსეი ნავალნის სასამართლო ელის და ვფიქრობთ, ხელისუფლებამ „ექთოლი ნება“ რომ გამოიჩინოს და არასაპატიმრო სასჯელი შეუფარდოს, მაინც პოლიტიკური პროცესების მიღმა დარჩება და აღარ ექნება უფლება, სადმე იყაროს კენჭი. თუმცა უფრო მეტად ველით, რომ მასაც პატიმრობას შეუფარდებენ.

ლევ გუდავი: „ედინაია როსია“ ალბათ ვეღარ ჩამოირეცხავს იმ სახელს, რომელიც მას ალექსეი ნავალნიმ უწოდა – „თაღლითებისა და ქურდების პარტია“. მოხალისეები დეპუტატების ქონებას დასავლეთში ეძებენ, მონაცემებს ინტერნეტში აქვეყნებენ. პუტინის ხელისუფლების კორუმპირებულობა უკვე ისეთი ფაქტია, რაზეც არავინ დავობს. როდესაც მოსახლეობას ვეკითხებით, იზიარებენ თუ არა მოსაზრებას, რომ „ედინაია როსია“ თაღლითებისა და ქურდების პარტია, 40%-ზე მეტი დადგითად გვპასუხობს.

მარია ლიპანი: საინტერესოა ისიც, რომ ალექსეი ნავალნიმ ეს ფრაზა: „თაღლითებისა და ქურდების პარტია“ ორი წლის წინ ერთ-ერთ რადიო გადაცემაში თქვა და ის ეგრევე აიტაცა ხალხმა. ეს ხდება იმ დროს, როცა ნავალნის სახელისუფლებლო არხებზე

ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლის შესაძლებლობა არ აქვს.

ლევ გუდავი: ამ ლოზუნგთან ხალხის დამოკიდებულებაში ხელისუფლების მიმართ ჩუმი სიძულვილი ჩანს. სხვათა შორის, იმ ადამიანების რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მათი რაოდენობა, ვინც იცის, ვინ არის ალექსეი ნავალნი. მისთვის ტელესიგრაფი დაკეტილია.

პუტინი ერთი წუთითაც არ უშვებს, რომ პატრიარქი, ან ვინმე, ვინც არ უნდა იყოს, მიუჟლოვდეს მის რეიტინგს და პოპულარობას. კრემლი იმასაც აკონტროლებს, რომ ეკლესის რეიტინგი ხელისუფლებას ნაადგეს, მაგრამ ეკლესის ავტონომიური ძალაუფლება არ განამტკიცოს.

ახლა რუსეთში მასობრივი საპროტესტო აქციები აღარ იმართება. გაქრაის საპროტესტო მუხტი, რომელიც შარშან იყო?

მარია ლიპანი: ადამიანების დაშინება იოლია. თავიდან შინარეული, ხალხმრავალი მიტინგები იყო, შემდეგ ერთ-ერთი მიტინგი დაპატიმრებებით დასრულდა და ახლა ადამიანებს გარეთ გამოსვლის ეშინათ. თუმცა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ ამან საპროტესტო მუხტი ჩაახშო. ასე ნამდვილად არ არის. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში რეჟიმის მოუღებლობა და სიძულვილი იზრდება. უკამაყოფილება დღეს ქუჩის აქციებზე არ ჩანს, მაგრამ ის არსებობს და უფსკრულ საზოგადოების ერთ ნაწილსა და ხელისუფლებას შორის იზრდება. ეს

კარგად ჩანს ინტერნეტში – აქტივისტები ექცევენ ჩინოვნიკების გადამალულ ქონებას და ამის შესახებ ბლოგებზე წერენ, ასევე ძალიან აქტიურად მიდის მოპარული დისერტაციების გამოვლენის კამპანია. ახალგაზრდები, და არამხოლოდ აკადემიური სფეროდან, გატაცებით მუშაობენ ამ მიმართულებით და ინტერნეტში ჩნდება ახალ-ახალი ცნობები ჩინოვნიკების მოპარული დისერტაციების შესახებ. ასეთმა პირადმა ინიციატივებმა იმატა. ამას გარდა, ორმა ახალგაზრდამ გააკეთა საიტი, სადაც რუსაზე დატანილი ყველა ის ადგილი, სადაც აქცია ან პიკეტი ვინმეს დაკავებით დასრულდა. მართალია, დღეს რუსეთში მასობრივი მიტინგები არ ტარდება, მაგრამ მცირე პიკეტები და აქციები არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ მთელ რუსეთში ეწყობა. ხელისუფლება ძალიან მკაცრად მოქმედებს – მოპიკეტებს იქტერენ. ძალიან პროფესიულად და ლამაზად გაეკეთებული საიტია, სადაც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ იზრდება რეპრესიების რიცხვი.

რამდენად მნიშვნელოვან როლს თავაშობს მართლმადიდებლური ეკლესია რუსეთის ცხოვრებაში?

ლევ გუდავი: ეს ძალიან საინტერესო საკითხია. მაშინ, როდესაც ლევადას ცენტრმა კვლევების ჩატარება დაიწყო, 80-იანი წლების ბოლოს, რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ 16% თვლიდა თავს მორწმუნედ. ახლა ეს რიცხვი 77%-ია. აქ, ბურებრივია, სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები იგულისხმებიან. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, ამ ბოლო დროს მიდის კამპანია (ეკლესიისა და ნაციონალისტების მიერ) რომ სწორედ მართლმადიდებლობა რუსობის განმსაზღვრელი. ამის პარალელურად რუსეთში მოქალაქეები არანაირ სულიერ, რელიგიურ რეფლექსიებს არ ავლენენ. თუმცა, იმას, რომ მართლმადიდებლობა და რუსობა ერთი და იგივეა, გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა ეთანხმება. ამავე დროს ეკლესიის აქტიური მრევლი რუსეთის მთელი მოსახლეობის 4%-7%-ს

შეადგენს. თანაც, მათი დიდი ნაწილი მთელი ცხოვრების მანძილზე ორი რიტუალით კმაყოფილდება – ნათლობითა და წესის აგებით და ეკლესიაში წელიწადში ორჯერ – შობასა და აღდგომას მიდის.

რუსეთის პატრიარქმა კირილმა საკუთარ თავზე აიღო მისია, ხელისუფლებას კიდევ უფრო გაუმყაროს ლეგიტიმაცია. პატრიარქის ფორმულირების მიხედვით ეკლესია ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, ვიდრე სახელმწიფო. სასულიერო პირებს არაერთხელ ალნიშნავთ, რომ რუსულ ცივილიზაციას ეკლესია ინახავს და არა – სახელმწიფო. პატრიარქი კირილის თქმით კა, პუტინის გამოჩენა ღვთის მიერ მოვლენილი სასწაულია.

პატრიარქი კირილი პოპულარობით სარგებლობს რუსეთში? საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე მაღალი რეიტინგი კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს აქვს...

მარია ლიპანი: რუსეთში საქართველოსგან ძალიან განსახვავებული სიტუაცია. თქვენთან ხელისუფლება არჩევნებით შეიცვალა. ჩვენში უალტერნატივიბის და ხელისუფლების შეუცვლელობის განცდა ძალიან ღრმადა გამჯდარი. პუტინი უკვე 10 წელზე მეტია, მართავს და საცარაუდოდ, კიდევ 12 წელს დარჩება ხელისუფლებაში. არ ვიცით, სინამდვილეში რა მოხდება, მაგრამ პუტინი ერთი წელითაც არ უშვებს, რომ პატრიარქი, ან ვინმე, ვინც არ უნდა იყოს, მიუახლოვდეს მის რეიტინგს და პოპულარობას. კრემლი იმასაც აკონტროლებს, რომ ეკლესიის რეიტინგი ხელისუფლებას წაადგეს, მაგრამ ეკლესიამ ავტონომიური ძალაუფლება არ განიმტკიცოს. ასევე ზრუნავს იმაზეც, რომ ეკლესიას დამოუკიდებლად მაღალი ავტორიტეტი არ ჰქონდეს. საუკუნეებით გამყარებული რუსული ტრადიციის მიხედვით ეკლესია ემსახურება ხელისუფლებას და მისგან დვირფას საჩუქრებს იღებს. ეკლესია რუსეთში ერთადერთი ინსტიტუტია,

რომელსაც რევოლუციამდელი ქონება უბრუნდება, არ არის კონკურენტულ პირობებში სხვა კონფესიებთან, ფლობს დიდი რაოდენობით უძრავ ქონებას, შეუძლია საეკლესიო სკოლების გახსნა, და ა.შ.

ეკლესია შედის საჯარო სკოლებში?

მარია ლიპანი: ჯერჯერობით ვერა, მაგრამ ამ მიმართულებითაც მუშა-

■ იმას, რომ

მართლმადიდებლობა და

რუსობა ერთი და იგივეა,

გამოკითხული მოსახლეობის

უმრავლესობა ეთანხმება.

ამავე დროს ეკლესიის აქტიური

მრევლი რუსეთის მთელი

მოსახლეობის 4%-7%-ს

შეადგენს.

ობენ. ამას გარდა ეკლესიას სურს კანონმდებლობით გაიმყაროს საკუთარი სტატუსი და მორალური ავტორიტეტი. მაგალითად, ახლა პარლამენტი განიხილავს კანონს „მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის აკრძალვის შესახებ“, რომელიც პირველი მოსმენით უკვე გასულია პარლამენტში.

ლევ გუდკოვი: პატრიარქის რეიტინგი არ არის მაღალი და თანდათან ეცემა. მაქსიმალურ ზღვარს, 7%-ს კირილის პოპულარობამ „პუსი რაიოტის“ პროცესის დროს მიაღწია. ახლა ისევ დაეცა 5%-მდე. ამ დროს პუტინს ამავე გამოკითხვის მიხედვით 36% აქვს, მერე დიდი ვარდნაა, მეორეა – შაიგუ, მესამე – მედვედევი.

აღსანიშნავია ერთი მოვლენაც – რუსეთის პროვინციებში საკმაოდ იზრდება სხვადასხვა პროტესტანტული

ჯგუფებისა და სექტების გავლენა, ზოგან ისე, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიასაც კი უწევს კონკურენციას. ასეთ ჯგუფებს, როგორც წესი, ებრძვიან. მათი პოპულარობა გარკვეულნილად განპირობებულია იმით, რომ ისინი სოციალურ ქველმოქმედებას ეწევიან.

არის თუ არა ქსენოფობია დღეს პრობლემა რუსეთისთვის? უკვე რამდენიმე წელია ეთნიკურ ნიადაგზე მკვლელობები ნაკლებად ხდება, თუმცა, როდესაც რუსულ საიტებს ვკითხულობთ, ჩანს, რომ ქსენოფობია, განსაკუთრებით, ანტისემიტიზმი, ძალიან ძლიერია რუსულ საზოგადოებაში...

ლევ გუდკოვი: ისევ კავლევებს მივყვეთ. ფაქტია, რომ 80-იანების ბოლოს რუსეთში ქსენოფობის ბევრად უფრო დაბალი მაჩვენებელი იყო, ვიდრე დანარჩენ საბჭოთა რეპულიკებში. 90-იანების შუა წლებიდან, კრიზისის ფონზე დაიწყო რუსული ნაციონალიზმის ზრდა და პიქს მიაღწია 2004-05 წლებში და შემდეგ იმავე ნიმუშზე დარჩა. დღევანდელი კვლევების მიხედვით რუსეთში ქსენოფობია ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ ეკრობაში.

ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების რიცხვი შემცირდა, რადგან, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, პუტინის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით ძალიან მკაცრი ზომები გაატარა – შეიცვალა კანონმდებლობა, კანონის აღსრულების პრაქტიკა, რამდენიმე გახმაურებულ მკვლელობაში ეჭვმიტანილები უმკაცრესად დასაჯეს.

რაც შეეხება ანტისემიტიზმს, რუსეთში ძალიან ცოტა ებრაელი დარჩა – წინა აღწერის მიხედვით, 230 00 ადამიანი, რომელებიც ძირითადად 4 დიდ ქალაქში არიან თავმოყრილი, რუსეთის პროვინციების მცხოვრებლებს ცოცხალი ებრაელი თვალითაც არ უნახავთ. თუმცა, ანტისემიტიზმი დარჩა, როგორც წებისმიერი სახის ქსენოფობის პარადიგმა და წებისმიერი ეთნიკური მიუღებლობა სწორედ ამ პარადიგმაზე ეწყობა. ესაა სიძულვილის ენის რუ-

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს



ყოველი ჩვენები მნიშვნელოვანია

 **ბანკის მიერ განკუთხული**
BANK REPUBLIC



290 90 90

* 90 90

BR. GE

სული სტრუქტურა, რომელიც ინტერ-ნეტში განსაკუთრებით მძაფრად ჩანს. ქსენოფონბის მაჩვენებელი დიდწილად ხელისუფლების პოლიტიკაზეა და-მოყიდებული. როდესაც ხელისუფლება პროვოცირებას უკეთებს ქსენოფონბის, მაშინვე მაღლა იწევს ნიშნული, როცა ხელისუფლების მხრიდან ქსენოფონბიუ-რი პროპაგანდა სუსტდება, მოსახლე-ობაშიც ნაკლებად მძაფრად იგრძნობა ქსენოფონბიური განწყობები. თანაც ობიექტიც იცვლება – თუკი 5-10 წლის წინ სიძულვილს ძირითადად კავკასიე-ლების მიმართ გამოხატავდნენ, დღეს მთავარი ობიექტები რუსეთში სამუშა-ოდ ჩამოსული შუაზიელები, შრომითი მიგრანტები არიან. რუსული მედიით დროდადრო მანც მიდის პროპაგანდა, რომ მიგრანტთა შორის ბევრი კრიმი-ნალია, არადა, სტატისტიკის მიხედვით ადგილობრივებს შორის გაცილებით მეტია დამაშავე.

მარია ლიპაშანი: ანტისემიტიზმი ასე ვთქვათ, სიმბოლური დატვირთვი-საა, მაგრამ ადამიანები, რომლებიც სხვანაირად გამოიყურებიან, რუსეთში მართლა არიან საფრთხის ქვეშ. ეს რა-სობრივი შუღლია და არა უბრალოდ, ქსენოფონბია. ესაა რასიზმის რუსული გამოვლინება.

საინტერესოა ისიც, რომ ბოლო დროს პუტინი უფრო და უფრო ხში-რად საუბრობს იმაზე, რომ რუსეთი არ შეიძლება იყოს მხოლოდ რუსების სახელმწიფო, რომ ეს რუსთის დასას-რული იქნებოდა. ვფიქრობ, ამგარი რიტორიკა რუსულ საზოგადოებაში დაგროვილი ქსენოფონბიური ენერგიის შიშითაა გამოწვეული. ამ ენერგიაში რომ გადმოხეთქმს, ძალადობა პირდა-პირ ქუჩებში დაიწყება. ეს ერთადერ-თია, რისთვისაც მადლობა შეიძლება ვუთხრათ პუტინს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პუტინის ხელისუ-ფლებას ნებისმიერი ენერგიის ეშინია, იქნება ეს ლიბერალური თუ ნაციონა-ლისტური პროტესტი. ანტიამერიკული კამპანიის ერთ-ერთი მიზანი ისი-კაა, რომ ერთმანეთთან თანხმობაში მოიყვანოს ეთნიკური ქსენოფონბია და სახელმწიფო ნაციონალიზმი.

ქსენოფონბის მიზეზთა შორის არ გვიხსენებია ორი ჩეჩჩური ომი, შეუ-წყნარებლობის გამომწვევი უმნიშვნე-ლოვანესი მოვლენა. მილიონმა რუსმა ახალგაზრდამ გამოიარა და ნახა ეს ომი, ნახა მტერი საკუთარ თანამოქა-ლაქეთა შორის და ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. უკვე ექვსი წელია, 4 ნოემ-ბერს მოსკოვში იმართება ე.წ. „რუსუ-ლი მარში“, ერთ-ერთი სამარცხვინო მოვლენა უკანასკნელი წლების რუსე-

დროს – პოლონეთი, ბოლო დროს – საქართველო.

რამდენად აინტერესებს რუსულ სა-ზოგადოებას, რა ხდება საქართველოში? როგორ ფიქრობთ, რატომ იყო რუსუ-ლი ლიბერალური პრესა საკაშვილის ხელისუფლების მხარეს?

ლევ გუდკოვი: რუსეთში ძალიან ცუდად იციან, რა ხდება საქართვე-ლოში. სახელწიფო პრესა ძირითადად, უარყოფით კონტექსტში აშეუქებდა საქართველოს, ინტერნეტში და ლი-ბერალურ მედიაშიც ძალიან მწირია ინფორმაცია საქართველოში მიმდინა-რე მოვლენების შესახებ.

საქართველოში სამართლიანი არ-ჩევნები ჩატარდა, ჩვენ ამას ვაფასე-ბთ. რაც არ უნდა იყოს, სააკაშვილს დასავლური კურსი ჰქონდა, ეს რუსი ლიბერალებისთვის ძალიან მნიშვ-ნელოვანია, ისინი, იმ ფონზე, რომ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ სააკაშვი-ლის მმართველობის სტილის შესა-ხებ, მხარს უჭერდნენ მის დასავლურ კურსს.

საინტერესოა ერთი ფაქტიც – სააკაშვილის პარტიის არჩევნებში დამარცხების შემდეგ ნაციონალურ ტელეარხებზე საქართველოს შესახებ ნეგატიური კამპანია შეწყდა და ეს მაშინვე აისახა საზოგადოებრივ აზრზე – რუსები საქართველოს ახლა ბევრად უფრო პოზიტიურად აფასებენ, ვიდრე რამდენიმე თვის წინ.

მარია ლიპაშანი: პუტინის პირადი მტერი, ის, ვისი ჩამოგდებაც მას 2008 წელს უნდოდა, არჩევნებში დამარ-ცხდა. რუსი ლიბერალები ამ ფაქტს აღიქვამენ, როგორც პუტინის გამარ-ჯვებას. თითქოს საქართველოში მიმდინარე მოვლენები იმასაც ჰქონდა, რაც მათ პლაკატებზე უწერიათ...

■ თუკი 5-10 წლის წინ

სიძულვილს ძირითადად

კავკასიელების მიმართ

გამოხატავდნენ, დღეს მისი

მთავარი ობიექტები რუსეთში


სამუშაოდ ჩამოსული

შუაზიელები, შრომითი

მიგრანტები არიან.

თის ისტორიაში. ყველაზე მრავალრიცხვობი „რუსული მარში“ 2012 წელს იყო – 15 000 ადამიანმა მიიღო მონანილება. პუტინის ხელისუფლებამ შემოილო დღესასწაული, 4 ნოემბერი, მაგრამ მას არანაირი ნარატივი არ გა-აჩნია – არ ვიცით, რას ვზიონიმობთ. ეს ლაკუნა (?) მაშინვე შეიგისო რუსული შოვინიზმით, სადაც უკეთეს შემთხვევაში ასეთი ლოზუნგებით მოდიან – „რუსეთი რუსებისთვის“, „მოსკოვი მოსკოველებისთვის“ და უარეს შემთხვევაში... ვერც გავიმეორებ იმას, რაც მათ პლაკატებზე უწერიათ...

ლევ გუდკოვი: აუცილებლად უნდა აღვინიშნოთ, რომ რუსულ ქსენო-ფონბის გარეშე მტრის ფაქტორიც კვებაგს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ან-ტიამერიკანიზმზე, რომელიც მუდ-მივად არსებობს, ახლო მეზობლები კი იცვლებიან – უფრო ხშირად ეს ბალტიისპირეთის ქვეყნებია, რაღაც



ინტერნეტ ბანკინი

ყველა პირზე
თქვენი კომფორტულობის!

online.procreditbank.ge | ☎ *22 22 220 22 22

ՈՄՏ ԾԱ ԿԻ ԲԻԵՆԵՐԵՐ ԱՆՁԵՐՆԵՐ ԹԵՐՊԵՐ ՅԻՌԵՐԵՐԵՐ?

ბოსტონის ტერაქტის გამოძიების შედეგებმა უახლოეს მომავალში შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს ამერიკულ-რუსული ურთიერთობები კავკასიის ჭრილში.

ვალერი ძუცევი

ამ კითხვას პასუხი იმის მიხედვით გაცემა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები არა მხოლოდ ჩრდილოეთ, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც, ასევე, მნიშვნელოვანია, თუ როგორ სახეს მიიღებს ურთიერთობა მსოფლიო ზესახელმწიფოებს შორის.

ბოსტონის ტერაქტის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასია მოულოდნელად მსოფლიო მასშტაბის ყურადღების ცენტრში მოექცა. სოჭის ოლიმპიადის მოახლოება, ბოსტონის უცნაური ტერაქტი თავისთავად გამოიწვევს იმას, რომ აშშ-ს ზოგადად კავკასიისთვის მეტი ყურადღების დათმობა მოუძღვება. როგორც ჩანს, ასევე გაიზრდება რეგიონის პრიორულულობა რუსეთის თვითისაც.

2013 წლის მარტსა და აპრილში მეტ-ნაკლებად მშვიდ ჩრდილოეთ ოსეთსაც კი გადაურბინა კონტრტერორისტულ ოპერაციათა ტალღამ. რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში, ყველაზე სამხრეთი მდებარე, პრიგორიძინდან დაწყებული, ყველაზე ჩრდილოეთ რაიონით, მოზღვით დამთავრებული, საგანგებო რეზიმი არაერთგან გამოცხადდა. საფრიქრებელია, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლებამ ეს ოპერაციები პროფილაქტიკისთვის, 2014 წლის სოქის ოლიმპიადისათვის მზადების ფარგლებში ჩაატარო. სასაზღვრო კონტროლის საგრძნობი გამეაცრებით აღინიშნა ეს პერიოდი სამხრეთ ოსეთში, სასაზღვრო ზოლი განსაკუთრებული დამჯავი საშუალებებით გამყარდა.

ჯერ არ ჩანს, გამართლდება თუ არა ამ დღე-ებში წამოყენებული კონსპიროლოგიური თეო-რიები, მაგრამ ბოსტონის ტერაქტის შემდეგ არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ ზოგადად დასავლეთს, კავკასიაზე უფრო მეტად მოუწევს კონცენტრი-რება. ვინც არ უნდა იდეგს ამ ტერაქტის უკან, რუსული სპეცსამსახურები თუ დოკუ უმაროვის კავკასიის ემირატი, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ ძმები ცარნაუები დადესტნელი „ბოვენიების“ ბრ-ძოლამ შთააგონა, ერთი რამ მაინც ცხადია: ჩაუ-მცხრალი ომი ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთ საერთაშორისო პრობლემად იქნა.

რუსეთის წინაშე მდგარი დილემა იმაში მდგო-

ମାର୍ଗୋବ୍ସ, ରନ୍ଧ ମାସ ହିନ୍ଦିଲ୍ଲାଗେ କୁଦ୍ରାଶାଶି ସାଏର-
ତାଶିରିଳୀବ ଦାଲ୍ଗେବିଳ ଶେର୍ବେର୍ବା ଏଣ ଶୁର୍ଜିଲୀ, ମାଝରାମ,
ଅମାର୍ଗେ ଧରିବୁ, ତ୍ରୈରାନ୍ତିଳିମିଳିଲ ମୁହୂରାକିଲ ଗାଗର୍ପ୍ରେଲ୍ଲେ-
କାଳ ତାଫାଦ ଗ୍ରେ ଯୁମ୍ପୁଲାଙ୍ଗଦ୍ୟବା ଏଣ ଆମିଲ ଗାମିଲ ରୁ-
ଶେତା ଫାକ୍ଟିରିବର୍କର୍ଷବାଦ କୁକୁକ୍କ ତାଵାଦ ଇକ୍ତା ସାଏରତା-
ଶିରିଲୀବ କରିବଲ୍ଲେମାଦ - ରିମିଲାଗନ ଫାମୋର୍ଗୁଫ୍ରେବଲ୍ଲାଦ,
ଇତାମାଶେଖ୍ବ ଟାଙ୍କ ଏଣ ରୁଶ୍ଶୁଲମା ଶକ୍ରେଚାଶିଲାଶୁର୍ଗେବମା
ରାନାମ୍ଭ ରନ୍ଧାଲୀ ଦିଲାକ୍ରିତିଲ ମିଥାଦ୍ୟାବାଦି.

პრემიერმა ივნისშვილმა კაცებასის მიმართ აშშ-ს ვექტორის შეცვლა იგრძნოდ და ამ ცვლილების მის სასარგებლობდ გამოყენება ჩქარა, როცა საქართველოს წინა სელისუფლება ჩრდილოკაციასიღლ „პოევიკების“ მთარველობაში დაადანაშაულა, თუმცა კი ნათქვამთან ერთად დასძინა, ვითარებაში გამოძიება გაგვარკვევსო.

ამასთან, ბოსტონის ტერაქტის გამოძიების შე-
დევნებმა უახლოეს მომავალში შესაძლოა მიზვ-
ნელოვნად შეცვალოს ამერიკულ-რუსული ურ-
თიერთობები კავკასიის ქრისტიანი ჯერვერიანით
ძნელია თქმა, რა ნიშნით შეიძლება მოხდეს ეს
ცვლილება, მაგრამ ნეგატიური ტრენდი უფრო
სავარაუდოა, რადგან რუსეთი ამერიკაში და-
წყებულ გამოძიებას საკმარის დახმარებას არ
გაუწევს, და ამავე დროს დაბრკოლებებს შეუქმ-
ნის აშშ-ს სერიოზულ მონაწილეობას ჩრდილოეთ
კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში. ამან შეიძ-
ლობა გამოიწვიოს როგორისა და აშშ-ს შერიც კა-

კავკასიის მეტოქება, რასაც კვლეულია, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნაკლებად მოსალოდნელი, პოზიტური განვითარების სცენარიც შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში უნდა ველოდოთ, რომ სოფთის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადება ორმხრივი, გაფართოებული თანამშრომლობით გაზრდებულდება. ასევე თუ ისე, კავკასიისათვის მთლიანობაში ეს მისა მტკიცნეული პრობლემების „რევიზიას“ და გარკვეულ „შეჯარცვლარებას“ მოასწავებს, რომელთაც შეიძლება ნაკლებპროგნოზირებად შეიტანოს მოძყველის.

ამ პრობლემებს ძალიან კონკრეტული პოლი-
ტიკური განზომილებაც გააჩნია. თუ აშშ-ში სულ

■ პრემიერმა ივანიშვილმა კავკასიის მიმართ აშე-ს ცეკტორის შეცვლა იგრძნოდა ამ ცვლილების მის სასარგებლობ გამოყენება იჩიარა, როცა საქართველოს ნინა ხელისუფლება ჩრდილოავაგასიელი „ბო-ევიკების“ მფარველობაში დაადანშაულა, თუმცა კი ნათელად მთან ერთად დასძინა, ვითარებაში გამოიძიება აგვარეკვესო.



ରୂପଦେଣିମେ ଆସୁଲ୍ଲା ଏତିନିକୁସ୍ତରି ହିୟେନ୍ଦ୍ରା କ୍ଷେତ୍ରରେ-
ଶ୍ଵେତରାଜାବିଶ୍ଵରିରେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଖାଲୀ ମତେରେ 100
000 ହିୟେନ୍ଦ୍ରା ମରସାଲ୍ଲାଗା. ଅମାତଙ୍ଗବନ୍ ଡାକଲୋପେବିତ
ନାହେବାରି ରୁକ୍ଷାଲାରୁଲ୍ଲାଦ ହାତିଲ୍ ରୁକ୍ଷେତିଥି. ତାହା
ହିୟେନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲାରେ ଯାଇବାରି ଦା ରୁକ୍ଷେତି ସେରିଠିଲ୍ଲ ଲା-
ଗରତାଶ୍ରମରୀବେ ସାତ୍ରରତିଶ୍ଵେତ ନାରମାଦଗ୍ରହିନୀ, ରାତ୍ରେତ୍ତ,
ନିନାଶନାରି ମରନାକ୍ରେମିବେବିତ, ଦୋଷତ୍ରନିବେ ତ୍ରୈରାଜ୍ୟତ୍ରି
ମିହିତିତ୍ରେବେ, ମାଥିନ ଯୁକ୍ତାନାକ୍ଷର୍ଣ୍ଣିଲ୍ ମନ୍ଦିରରେବେ ଦା
ମାତି ଶେରୁଗ୍ରେବେ ଯେତାକେବିଲ୍ ତେବେ ଯୁତ୍ତର ଶେରାଶେତ୍ରତ୍ରେ-
ଶେଲ୍ଲ ଉନ୍ଦା ଯୁଗେ, ବିଦର୍ଧ ଅଶ୍ଵ-ତେବେ ମାଶାଦାମ୍ଭ,
ହିୟେନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲାରେ ଯାଇବାରିକେ ହିୟେନ୍ଦ୍ରା ସିତ୍ତାଚାପିଳ ଗାଢା-
ଶାକ୍ରହୀଲାଦ ମତେଲ ଦାଶାଵଲ୍ଲେତିଲ୍ ସାମ୍ବାରନୀ କ୍ଷେତ୍ରକିନ୍ତା
ଗାଢାକୁପେତିଲ୍ ନେରତିଲ୍ଲାବେ.

ამ დროს ვითარება რეგიონში კვლავ გართულებულია. ჯერ ის არ კმაროდა, რომ „ბოევიკებთან“ და რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული ძლიადობა არა და არ წყდობა, ახლა მიწების საკითხიც გამწვავდა, ნარმილშვა ტერიტორიული კამათი ჩეჩენეთსა და ინგუშეთს მორის. 2012 წლის დეკემბრიდან მოულოდნელად, და საკამაო სიმძაფრითაც, თავი იჩინა სტავროპოლის მხარის რუსულმა მოძრაობამ, რომლის ამოცანა ჩრდილოეთ კავკასიის რესულლიკების ფაქტობრივი ჩამოსილი კუთხით არ მოიხსენია. ცალ-ცალკე ეს პრობლემები კრემლისთვის განსაკუთრებულ გამოწვევად არ აღიქმებოდა, მაგრამ მათი თანხვედრის, თანაც რეგიონისადმი მსოფლიო თანამედრობის შზარდის პირობებში,

მოსკოვს სერიოზული მანევრირება და საკუთარი მიდგომების საგრძნობი შეცვლა მოუწევს, რომ დასავლეთთან ურთიერთობა არ დაეძაბოს და ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციაზე საკუთარი კონტროლი შეინარჩუნოს. თუ გუშინ რუსეთი სამხრეთკავკასიურ პრობლემებს არეგულირებდა, ახლა ჩნდება კითხვები, რას აკეთებს იგი ჩრდილოეთ კავკასიაში.

კურველობით გაუგებარია, სახელფობრ რო-
გორ აპირებს რუსეთი ამ უძმინესი ვითარებიდან
გამოსვლას. პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა,
რომ ახლა რუსეთი და აშშ ექსტრემიზმთან ბრძო-
ლაში თანამშრომლობას გააღრმავებენ, მაგრამ
რუსეთის სამართალდაცვითი სისტემის მიმართ
უწყდობლობა თვით რუსეთშიცა და მის საზოგადო-
ბს გარეთაც იმდენად დიდია, რომ ეს თანამშ-
რომლობა მეტისმეტად განტოტვილი იქნება. ძე-
ლი სათქმელია, როგორ შეიცვლება ვითარება
წრდილოეთ კავკასიაში უახლოეს მომავალში, მა-
გრამ დაბეჭითებით შეიძლება იმის თქმა, რომ
სერიოზული (პლილებებია, კარს მომდგარი. **█**

HEINRICH BÖLL STIFTUNG
ବ୍ୟାକ୍ସନ କାର୍ଯ୍ୟାଳୟ

ສັຖານຸລາ ມອມບ້າງແບ່ງລູນາ ຕໍ່ມີນົກຕະ ດິນລົມລື ລູນົດໄສ
ມທ່າງດາວັດກົດ. ຂັ້ນ ປັບຕໍ່ມີນົກຕະ ດິນລົມລື ລູນົດໄສ
ສ່ຽງແລ້ວລູ່ແບ່ງໂດ ດຳ ມີນົກຕະ ດິນລົມລື ລູນົດໄສ
ກຳມົນວ່າພົງແຈ້ງ ດຳ ມີນົກຕະ ດິນລົມລື ລູນົດໄສ

პროცენტი: ურთიერთობას მიზნით ხელი სამართლოს მიმდევარის მიერ გადასაცემი

„შექი არ იყო და ძალიან ციონდა,“ – ასე იხსენებს საქართველოში პირველ სტუმრობას ბრემენის საქალაქო სასამართლოს ვიცეპრეზიდენტი ჰელენ ბესტი. გერმანელი მოსამართლე 2001 წლიდან 2004 წლამდე საქართველოში ხელირად ჩამოდიოდა და სპეციალური პროგრამის ფარგლებში ქართველ მოსამართლეებს მედიასთან ურთიერთობას ასწავლიდა. მას საქართველოსთან კავშირი არ შეუწყვეტია და ქართული სასამართლო სისტემის პრობლემებში ზედმინევნით ერკვევა. – რა იყო უმთავრესი პრობლემა რაც მას საქართველოში დახვდა? როგორ აფასებს ქართველ მოსამართლეთა ახალ გამოწვევებს კოპაბიტაციის პირობებში? რას ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკის სწორად განსახორციელებლად? – „ლიბერალი“ ჰელენ ბესტს ესაუბრა.

ზურა ვარდიაშვილი



რა იყო ის მთავარი პრობლემა რაც საქართველოში დაგხვდა?

ჩემი მუშაობის პერიოდი ხელისუფლების ცვლილებას დაემთხვა. ყველა სფეროში, მათ შორის სასამართლო სისტემაშიც არასტაბილური ვითარება იყო. ძალიან ბევრი სასამართლო ერთიანდებოდა, ანუ მსხვილდებოდა. ყველა მოსამართლე მომავალს შიშით შეჰქურებდა.

ჩემი იუსტიციის სამინისტროში ყოფნის დროს თანამშრომლები მასიბრივად ორჯერ გაათავისუფლეს. ყველა ფიქრობდა რომ შემდეგი თვითონ იქნებოდა. მაშინ როდესაც თითოეული მათგანი ახალ იდეებზე, რეფორმებზე და პროგრესზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, ამისთვის არავის ეცალა. მიმდინარეობდა ბრძოლა გადარჩენისთვის.

ის ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც მხარს მიხეილ სააკაშვილს უჭერდნენ, ამბობდნენ რომ ძველი სისტემის მოსამართლეები კორუმპირებული იყვნენ, და მათი განმენდა იყო საჭირო.

ძალიან გამიჭირდება თითოეულ გათავისუფლებულ მოსამართლეზე მტკიცება, იყვნენ თუ არა ისინი კორუმპირებული, მე მომინა

ისეთ მოსამართლეებთან მუშაობა, როგორიც მაგალითად თამარ ლალიაშვილი იყო, ის შესანიშნავი ადამიანია, მის კორუმპირებულობაზე საუბარიც ზედმეტია. იყვნენ სხვა კეთილსინდისიერი მოსამართლებიც, რომლებიც ხელისუფლების ცვლილებას შეეწირნენ.

ეს იყო სასამართლოს დაქვემდებარების პროცესის დასაწყისი?

ჯერ კიდევ საქართველოში ვიყვავი, როდესაც პროკურორებმა სასამართლოებში რეკვადაინიებს, ისინი მოსამართლეებისაგან ამა თუ იმ განაჩენის მიღებას ითხოვდნენ. ესაა პერიოდი, როდესაც კამერების თანხლებით საჩვენებელი დაპატიმრებები ეწყობოდა. ეს იყო დაშინებული მოსამართლეების და თვითდაჯერებული პროკურორების ხანა.

რა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა ქართული სასამართლო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ?

როგორც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში საქმეების უმეტესი ნაწილი საპროცესო შეთანხმებით სრულდება. ანუ, ადამიანები უბრალოდ ფულს იხდიან. დღეს სასამართლო და ზოგადად იუსტიცია დგას იმ უმნიშვნელო-

ვანესი გამოწვევის წინაშე, რომ დაიბრუნოს დაკარგული ნდობა.

ქართულ სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენთა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლის გამო წლების განმავლობაში უმნვავესად აკრიტიკებდნენ. თქვენი აზრით, ეს მაჩვენებელი არის სასამართლო დამოუკიდებლობის განსაზღვრის ინდიკატორი თუ არა?

ჩვენთან სისხლის სამართლის საქმეების დიდი ნაწილი ძიების პროცესშივე წყდება. სასამართლოში მხოლოდ კარგად დამუშავებული, მტკიცებულებებით გაჯერებული საქმეები აღწევს, და გამამტყუნებელი განაჩენის ალბათობაც დიდია. ამასთან ძალიან ცოტაა სააპელაციო საჩივრების რაოდენობა. საერთოდ, გამამტყუნებელ განაჩენთა რაოდენობით სასამართლოს დამოუკიდებლობაზე მსჯელობა რთულია.

„**საერთო სასამართლოების შესახებ**“ ახალი კანონპროექტის მიხედვით, სასამართლო დარბაზებში ფოტო და ვიდეო გადაღება და-

■ **ჯერ კიდევ საქართველოში ვიყავი,** როდესაც პროკურორებმა სასამართლო-ებში რეკვა დაიწყებს, ისინი მოსამართლე-ებისაგან ამა თუ იმ განაჩენის მიღებას ითხოვდნენ. ესაა პერიოდი, როდესაც კამერების თანხლებით საჩვენებელი დაპატიმრებები ენცობოდა. ეს კი კამერების წინ ცოტა არ იყოს რთულია. მე ვიხილავდი გახმაურებულ საქმეს, რომელიც გაუპატიურებას ეხებოდა, დაზარალებულს უნდა აღეწერა შემთხვევა, ესაუბრა დეტალებზე, საკუთარ განცდებსა თუ ემოციებზე, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო, რადგან მასზე მიშვერილი იყო უამრავი ობიექტივი.

საშვები იქნება, თუმცა ამ ინიციატივას ვენეციის კომისია უარყოფითად აფასებს. როგორია თქვენი დამოუკიდებულება ამ საკითხის მიმართ?

სასამართლო პროცესი სპექტაკლი არ არის. როგორც წესი, მსარეები კამერის წინ უფრო სხვაგვარად იქცევან, ვიდრე კამერის გარეშე. კამერის წინაშე ჩვენების მიცემა მოწმისთვისაც და ბრალდებულისთვისაც დამატებითი დისკომფორტის შემქმნელია. როდესაც ადამიანი სასამართლოს წინაშე წარსდგება, ის უნდა გაიხსნას, მზად იყოს სიმართლის სათქმელად. ეს კი კამერების წინ ცოტა არ იყოს რთულია. მე ვიხილავდი გახმაურებულ საქმეს, რომელიც გაუპატიურებას ეხებოდა, დაზარალებულს უნდა აღეწერა შემთხვევა, ესაუბრა დეტალებზე, საკუთარ განცდებსა თუ ემოციებზე, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო, რადგან მასზე მიშვერილი იყო უამრავი ობიექტივი.

მაგრამ არსებობს საჯაროობის ინტერესიც. თქვენ რომელ ინტერესს ანიჭებთ უპირატესობას ქართული რეალობიდან გამომდინარე?

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რალიო

Commersant.ge

მართლაშავულება

მოგეხსენებათ, სასამართლოს მიმართ საქართველოს მოსახლეობა გერმანულებთან შედარებით გაცილებით უნდობლადაა განწყობილი. გამჭვირვალობის გარდა რა ბერკეტი გააჩინია საზოგადოებას, მით უმეტეს, ნახევრად ავტორიტარული მმართველობის პირობებში?

თქვენ გჭირდებათ ძალიან ბევრი კარგი უურნალისტი, რომლებიც სასამართლო პროცესებს დეტალურად აღწერენ. ფოტოებისა და ვიდეოების გარეშე. თუ უურნალისტმა ამბავი კარგად არ გამოიტანა, მხოლოდ ვიდეოები და ფოტოები რას გიშველით?

თუმცა, ერთია, რეპორტიორის მოყოლილი, ხშირ შემთხვევაში, ინტერპრეტირებული ამბავი, და მეორეა – ვიდეოჩანანერი, სადაც ჩანს, თუ როგორ აწვდის გირგვლიანის პროცესზე პროკურორი ბრალდებულს მობილურ ტელეფონს...

გასაგებია რასაც ამბობთ, საქართველოში სპეციფიური ვითარებაა, თუმცა, მე მაინც მოწმის და ბრალდებულის ინტერესს უფრო მაღლა ვაყენებ და კამერებთან ჩემი დამოკიდებულება ძალიან ფრთხილია.

საქართველოში სასამართლო სისტემა პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ არენადაა ქცეულ... რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყანოს სასამართლო ხელისუფლების მკვეთრად პოლიტიკირებამ?

პოლიტიკური ძალებისგან სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა და შემდგომ შენარჩუნება ურთულესი პროცესია. ასეთ შემთხვევებში ხელისუფლების დანარჩენ შტოებს ძალაუფლების ნაწილს დათმობა უწევთ, რაც არ სურთ. ახლაც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოსამართლები ისევ დაშინებული არიან, ფიქრობენ, რომ მათ ზუსტად ისევე გამოყრიან, როგორც ეს წინა ხელისუფლებამ გააკეთა. მათ როგორც პოლიტიკოსებმა, ისე, სხვა დაინტერესებულმა ძალებმა თავი უნდა დაანებონ და თავი-სუფალი მოქმედების საშუალება უნდა მისცენ.

ახლა საქართველოში ე.ნ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს. ყოფილი ხელისუფლების ათობით მაღალჩინოსნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება. ცხადია, აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ დევნის მათთვის სასარგებლოდ დასრულება სურს. როგორ ფიქრობთ,

ხომ არ აღმოჩნდება ქართველი მოსამართლე უკვე ახალი ძალის ზენოლის ქვეშ, რათა მან მოქმედი ხელისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღოს?

როდესაც ხელისუფლებაში სააკაშვილი მოვიდა, მაშინ მის მომხრეებს პოლიტიკური მოწინააღმდეგების დასჯა სურდათ. ხელისუფლება ამას აკეთებდა კიდეც. ახლა თუ „ქართული ოცნებაც“ ამ პოლიტიკას გააგრძელებს და ახლა უკვე ყოფილ დამსჯელებს დასჯის, მერე სხვა ხელისუფალიც იმავეს იზამს და სულ ასე ერთმანეთის დასჯაში იქნებით. ძალიან კარგია, რომ პატიმრების რაოდენობა გაანახევრეთ, მაგრამ ახლა ისე არ უნდა ქნათ, რომ დაცარიელებული ადგილები ახლებით შეავსოთ.

ათასობით ადამიანი თავს ე.ნ. რეჟიმის მსვერპლად მიიჩნევს. თუნდაც ის უამრავი პატიმარი, რომელთა ნაწილი გათავისუფლდა, ნაწილი კი ციხეში რჩება, საკუთარ თავს ამ კატეგორიას მიაკუთხნებს. ისინი სამართალს ითხოვენ. ახალი ხელისუფლება ამის მექანიზმებს ეძებს. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პირობა იყო, რომ მათი საქმეები გადაიხდებოდა, მაგრამ ამ საქმეთა რაოდენობა წარმოუდგენლად დიდია, იმისთვის რომ სისტემა არ „გაიჭედოს“ თქვენ რას ურჩევდით საქართველოს ხელისუფლებას? გერმანიას აქვს ამის გამოცდილება...

ამგვარი პრობლემის წინაშე ჩვენ ორჯერ აღმოჩნდით, ერთი – ნაცისტური რეჟიმის შემდეგ, და მეორე, როდესაც გდრ დაიმსხრა. ჯერ უნდა შეაფასოთ თქვენი რესურსი – საკადრო, ფინანსური და ა.შ. გდრ – დროინდელი საქმეების განხილვა გერმანიაში ამ დრომდე გრძელდება, თქვენც გრძელი გზის გავლა მოგიწევთ. ესაა რთული და ძვირადღირებული გზა. ჯერ კიდევ ნაციონალური შოძრაობის ხელისუფლების დასაწყისში მე პირადად უდიდესი რაოდენობის საკუთრების ჩამორთმევის უამრავ ფაქტს შევესწარი, ცხადია, ადამიანები ამ საკუთრებათა უკან დაბრუნებას მოინდომებენ, ის ქონება უკვე სხვის ხელშია, ზოგი მათგანი კეთილსინდისიერი მფლობელია, ახლა მათი უფლებები არ უნდა დაირღვეს... სისხლის სამართლის საქმეებში მათ გადასახედად მოსაძებნია ახალი გარემოებები... ხალხი კი ყველაფერს სწრაფად ითხოვს. ურთულეს მდგომარეობაში ხართ...

шсүсән
смд


880

9
лт

псунеф
шсәсе
жсем

00:22





სამინისტრო სასკოლო განათლების სისტემი

განათლების სამინისტრო საქართველოს მასშტაბით 250-300 ოლქის შექმნას გეგმავს. სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმწიფოსთვის სკოლების ავტონომიურობის შენარჩუნება პრიორიტეტია და სასკოლო ოლქების შექმნა დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გაგრძელებაა.

ლიკა ზაკაშვილი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე კვირის წინ სასკოლო ოლქების შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

ახალი მოდელის მიხედვით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დამატებით ტერიტორიულ ორგანოს ქმნის, რომლის ძირითადი ფუნქცია სკოლის ოლქის დონეზე სასკოლო პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელებაა.

საქართველოს მასშტაბით 250-300 ოლქი იარსებებს, რომელიც საშუალოდ 10 სკოლას მოემსახურება.

სასკოლო ოლქის საბჭო 9 წევრით დაკომპლიქტდება. მათგან ექვსი წევრი არჩეული იქნება, ერთი წარმომადგენელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეყოლება, ერთი წევრი – ადგილობრივი თვითმმართველობას, ერთი კი – საგანმანთლებლო რესურს-ცენტრს.

საბჭოს წევრების არჩევნები სამ წელიწადში ერთხელ ჩატარდება, არჩევნებში მონაწილეობის მსურველი კანდიდატი კონკრეტულ ოლქში მცხოვრები სრულწლოვანი მოქალაქე უნდა იყოს. (არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ

ექნებათ მოქმედ მასწავლებლებს, დირექტორებს, სკოლის თანამშრომლებს და მოსწავლეებს).

ამავე მოდელის მიხედვით სკოლის სამეურვეო საბჭოს მაგივრად სკოლის მართვას დირექტორი და პედაგოგიური საბჭო განახორციელებს. ასევე იარჩებს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა კომიტეტი, რომელთაც საკონსულტაციო საბჭოების სტატუსი მიენიჭებათ.

ყველა ის ფუნქცია, რომელიც არსებულ მოდელში სამეურვეო საბჭოს ეკისრება, სასკოლო ოლქის დონეზე გადანაცვლებს. კერძოდ, ოლქს ევალება სერთიფიცირებული სკოლის დირექტორების კონკურსის წესით შერჩევა და კანდიდატების სამინისტროსთვის წარდგნა. ოლქის მოვალეობა იქნება სკოლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ოლონდ ამ შემთხვევაშიც, საბჭომ დირექტორის რეგისტრაციიდან მოხსნის გადაწყვეტილება სამინისტროს უნდა წარუდგინოს.

საბჭოს მოვალეობაა გაეცნოს და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციები მიაწოდოს სკოლას სასკოლო გეგმასთან დაკავშირებით. საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს და საჭიროების შემთხვევაში სკოლას ალტერნატიულ ბიუჯეტს წარუდგენს. საბჭო უნდა გაეცნოს სკოლის შინაგანანესს. ის აფასებს სასკოლო პოლიტიკას, ამტკიცებს ოლქში შემავალი სკოლების მოკლე და გრძელვადიან მიზნებს. შექმნია სკოლების დახურვის და გაერთიანების გადაწყვეტილებების მიღება, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის გამოყოფილი სახელმწიფოს რესურსების განაწილება. გარდა ამისა, ოლქი ეცდება დონორების მოზიდვას და საინფორმაციო კამპანიების წარმოებას.

საბჭოს უფლება-მოვალეობების აღწერიდან იწყება, რომ ყველა ფუნქციას, რაც ამ დრომდე სამეურვეო საბჭოს ეკისრებოდა, სასკოლო ოლქი იღებს; სკოლის მართვაში კი მთავარი რგოლი დირექტორი ხდება, კერძოდ, დირექტორი პედაგოგთა საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავებს ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს. დირექტორი მონიტორინგს უწევს სასწავლო გეგმის დანერგვას, აკონტროლებს კურიკულუმის შესრულებას, აკადემიურ მოსწრება/დასწრებას. პედაგოგთა საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და საბჭოს წარუდგენს სკოლის მოკლე და გრძელ-

ვადიან მიზნებსა და სტრატეგიას, მართავს ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს.

განათლების სამინისტროს განცხადებით, სახელმწიფოსთვის სკოლების ავტონომიურობის შენარჩუნება პრიორიტეტია და სასკოლო ოლქების შექმნა დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გაგრძელებაა.

სამინისტროს განცხადებით, არსებულ მოდელს ხარვეზები აქვს. სამეურვეო საბჭოში შემავალი პედაგოგები, ანგარიშვალდებულები იყვნებ სკოლის დირექტორის წინაშე და ამიტომ მათი გადაწყვეტილებები არ იყო ნეიტრალური.

როგორც განათლების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით იკვევა, მოდელის შეცვლის მიზეზი სწორედ აღნიშნული ხარვეზი გახდა.

არსებულ მოდელში ამ ნაკლის შესახებ განათლების მინისტრის მოადგილე, ალუდა გოგლიჩიძემ, ნოემბერში „ლაბერალისთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც ისაუბრა. მისი თქმით, სკოლის ავტონომიის ზრდის პროცესს ახალი გუნდი მაქსიმალურად ემხრობა და სკოლის მართვაში ადგილობრივი თემის მონაწილეობა პროცესის დემოკრატიზაციას უწყობს ხელს.

ალუდა გოგლიჩიძე თვლის, რომ სამეურვეო საბჭოები საინტერესო ფენომენია, ოლონდ საქმეს საბჭოში მასწავლებლების მონაწილეობა აფუჭებდა. „როცა ჩევნ სამეურვეო საბჭოებს სხვა ფუნქციებთან ერთად დირექტორის არჩევის უფლებამოსილებას ვაკისრებთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ, რა არის ეს და რასთან გვაქვს საქმე, იერარქია ინგრევა, როცა დამსაქმებელი დასაქმებულს ირჩევს. ეს სუბროდინაცია აღარ არის“, – თქვა ალუდა გოგლიჩიძემ, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ საბჭო ჯანსაღი წარმონაქმნია, ოლონდ ამ სტრუქტურაში პედაგოგების მონაწილეობაა გადასახედი.

ამ განცხადებებიდან რამდენიმე თვის თავზე გაირკვა, რომ სამინისტრო სამეურვეო საბჭოში პედაგოგების მონაწილეობით გამოწვეული ხარვეზის აღმოგებარას არ გეგმავს და ყველა ის ფუნქცია, რომელიც აქამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს მოვალეობაში შედიოდა, სასკოლო ოლქების დონეზე გადანაცვლებს.

ახალ მოდელს განათლების სფეროს ექსპერტთა ერთ ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მოდელზე მუშაობა ჯერ დასრულებული არ არის, უარყოფითად აფასებს. მათ მიაჩინათ, რომ შემოთავაზებული ვარიანტი დეცენტრული და იყოს და არა სკოლაში განათლების ხარისხზე ზრუნვა.

■ ახალ მოდელს განათლების სუუროვნების ერთ ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მოდელზე მუშაობა ჯერ დასრულებული არ არის, უარყოფითად აფასებს. მათ მიაჩინათ, რომ შემოთავაზებული ვარიანტი დეცენტრალიზაციას ხელს არ წერება. მათ მიაჩინათ, რომ შემოთავაზებული ვარიანტი დეცენტრალიზაციას ხელს არ წერება მათ მიაჩინათ, მეტიც, შესაძლოა მართვის ახალი რგოლის მორითადი ფუნქცია ბიუროკრატიული გადაწყვეტილებების მიღება და იყოს და არა სკოლაში განათლების ხარისხზე ზრუნვა.

ტრალიზაციას ხელს არ შეუწყობს და მეტიც, შესაძლოა მართვის ახალი რგოლის ძირითადი ფუნქცია ბიუროკრატიული გადაწყვეტილებების მიღება იყოს და არა სკოლაში განათლების ხარისხზე ზრუნვა.

შალვა ტაბატაძეს, მიაჩნია, რომ სასკოლო ოლქის საბჭო პროფესიული ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს.

შემოთავაზებული ვერსიით ოლქებს მნიშვნელოვანი ფუნქციები ენიჭებათ, მათ უნდა შეათანხმონ სკოლის ბიუჯეტი, შინაგანანებისი, მოკლე და გრძელვადიანი განვითარების გეგმები, თუმცა როცა სასკოლო ოლქს არაპროფესიონალი კადრებით ვაკომპლექტებთ, რომელია მათ ყველა ამ ფუნქციის კვალიფიციური და პროფესიული შესრულება მოვთხოვთ.

„ეს ოლქი პროფესიული ნიშნით არ დაკომპლექტდება, არჩევნებში მონაბილეობა 18 წლის ზევით ყველა მოქალაქეს შეეძლება. აქ არის დიდი საფრთხე, არაკომპლექტური საბჭო სასკოლო გეგმას ვერ შეაფასებს და ვერც ალტერნატივას გააკეთებს. როცა ოლქი უფრნეციონა, ის ითავსებს სხვა ფუნქციებს: ნიშნავს დირექტორებს სტანდარტის შესაბამისად. ჩემი აზრით, ასეთი სასკოლო ოლქი არათუ ხელს შეუწყობს სკოლის ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ აქტიურად ჩაერევა მის საკადრო გადაწყვეტილებებში,“ – ამბობს შალვა ტაბატაძე.

როგორც დასაწყისში აღნიშნეთ, სასკოლო ოლქის საბჭო 9 წევრით დაკომპლექტდება. მათგან 6 წევრი არჩეული იქნება, ერთი ნარმომადგენელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იქნება, ერთი – ადგილობრივი თვითმმართველობიდან, ერთი კი – საგანმანთლებლო რესურს-ცენტრიდან.

საბჭოს წევრების არჩევნები სამ წელიწადში ერთხელ ჩატარდება, არჩევნებში მონაბილეობის მსურველი კანდიდატი კონკრეტულ ოლქში მცხოვრები სრულნოვანი მოქალაქე იქნება. სხვა სახის კრიტერიუმები ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

სიმონ ჯანაშიას აზრით, ახალი მოდელი 2005 წლამდელი ვითარების დაბრუნების შესაძლებლობას იძლევა, როდესაც რაობები და საქალაქო განყოფილებები სისტემაში მრავალ უსარგებლო ბარიერს ქმნიდა.

მისივე თქმით, ახალი სქემით როგორც ეფექტურობის, ისე დემოკრატიულობის ხარისხის ზრდაც სათუოა. მისი დანერგვისთვის კი ძა-

ლიან დიდი რესურსის გაღება იქნება საჭირო. ამიტომ უკეთესი იქნება თუ აქამდე არსებული მოდელის ამუშავებაზე უკვე დახარჯული რესურსებსა და დაგროვილ გამოცდილებას ოპტიმალურად გამოვიყენებთ, დავხვენთ სახელმწიფოს მართვის პრაქტიკასა და სკოლების სამეცნიერო საბჭოების მუშაობას.

„დირექტორის ძალაუფლება სკოლის ფარგლებში იზრდება, გამჭვირვალების მექანიზმები კი მცირდება. სკოლაში მშობლებს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია ენიჭებათ. ალარც მოსახლეები მიღებენ მართვაში მონაბილეობას. ჩნდება რისკი, რომ სკოლის დონეზე დირექტორი დაუბალანსხებელ ძალაუფლებას მოიპოვებს,“ – ამბობს სიმონ ჯანაშია.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტი თამარ მოსიაშვილი მიიჩნევს, რომ სამინისტროს ღიაობა დიალოგისთვის ცალსახად პოზიტიურია, მაგრამ სასკოლო ოლქები სავარაუდოდ დამატებითი ბიუროკრატიული რგოლი გახდება, რომელის ამოქმედებაც ქვეყანას ძვირი დაუჯდება.

მისივე თქმით, ის ახალი სასკოლო ოლქების შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს და სახელმწიფო მოქმედი სამეცნიერო საბჭოების ქმედითუნარიანობის გაზრდაზე უნდა იზრუნოს.

„ასევე ვერ ვხედავ, რამდენად გაზრდის ამ ოლქების საქმიანობა სკოლების დამოუკიდებლობის ხარისხს. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა დაასრულა დეცენტრალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა. დოკუმენტს მაღლ ნარჩენები საგანმანათლებლო საზოგადოებას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პარლამენტს და ყველა დაინტერესებულ პირს. ძალიან მნიშვნელოვანია, განათლების სფეროს წარმომადგენლებმა ერთად გავიაზროთ განათლების სისტემის დეცენტრალიზაციისა და დეპოლიტიზაციის აუცილებლობა, ის რისკები, რაც შეიძლება წარმოიქმნას სასკოლო ოლქების შექმნით,“ – აღნიშნა თამარ მოსიაშვილმა.

სასკოლო ოლქების მოდელზე სამინისტრო არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად იმსჯელებს. ჯერჯერობით, რადგან მოდელზე მუშაობა არ დასრულებულა, სამუშაო პროცესში ჩართული იორგანიზაციების ერთი ნაწილი კომენტარზე უარს ამბობს. სამინისტროც ამ საკითხის შესახებ ჯერჯერობით მედიასთან არ საუბრობს. ახალი მოდელის მიმართ ბევრი კითხვა დაგროვდა. 

■ სიმონ ჯანაშიას აზრით, ახალი მოდელი 2005 წლამდელი ვითარების დაბრუნების შესაძლებლობას იძლევა, როდესაც რაობები და საქალაქო განყოფილებები სისტემაში მრავალ უსარგებლო ბარიერს ქმნიდა.

0008 iOS-080308



Առօսական - Ձեզ էլ յանձնութեան iPhone, iPad Ու iPod Touch-ը

0300ъз з09а3060зшд0:

www.lit.ge

00000000-0000-0000-0000-000000000000 OS-00-00300 სამუშაოების გადატვირთვის განვითარების და მოწოდების მინიჭებულებების iPhone, iPad და iPod Touch-ზე

Ապահովագրության մասին օրենքը կազմակերպության կողմէն՝ ՏԻՊ-53 Ձ.Օ.96300-ԼՈՏԱ ՔՐԵԴԻՏ

The logo for lit.ge, featuring the word "lit.ge" in a lowercase, sans-serif font. The letter "l" is partially obscured by a teal-colored rounded square frame.



ნე ლანგაზ ცნობის, ლასახი ბონივერტე!

იცით რამდენად სქელია თქვენი საცხოვრებელი სახლის კედლები? იცითრამდენ სითბოს კარგავთ ფანჯრებიდან ან კარიდან? სახურავიდან თუ იატაკიდან? იცით რამდენის დაზოგვა შეგიძლიათ საყოფაცხოვრებო ტექნიკისა თუ უბრალოდ შესაფერისი ნათურის შეძენისას? თუ არა, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რაზეც ექსპერტები უკვე დიდი ხანია, საუბრობენ – ინფორმაციის ნაკლებობასა და საჭიროებაზე.

ეკა მაღალდაძე

საქართველოში ენერგოეფექტურობის კუთხით რამდენიმე პროექტი განხორციელდა, რომელთა უმეტესობაც, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ იყო დაფინანსებული, თუმცა კანონმდებლობა, რომელიც ამ მიმართულებით ქვეყნის განვითარებას დაარეგულირებდა, კვლავ არ გვაქვს.

1970-იანი წლების ენერგეტიკულმა კრიზისმა მსოფლიო ენერგოგანვითარების ახალ მიმართულებებზე დააფიქრა. მზარდი ენერგომოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ენერგობიუქტების სიმძლავრეების ზრდასა და ენერგიის ახალი წყაროების ათვისებასთან ერთად, თანამედროვე განვითარებული

მსოფლიოს პრიორიტეტი არსებული ენერგიის რაციონალური გამოყენება გახდა, რაც თავის მხრივ, ენერგოდამზოგავი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს.

ენერგოეფექტურობა, როგორც წესი, ორ ნაწილად იყოფა – ერთი ადამიანების ქცევების, მათი საყოფაცხოვრებო ჩვევების შეცვლას გულისხმობს. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ, რომ ენერგიის ხარჯვა შეამცირონ. მეორე ნაწილი კი უფრო რთული და ძვირადღირებულია – ეს უფრო მაღალი კლასის ტექნიკის შეძენასა და საცხოვრებელი სახლების შიდა თუ გარე დათბუნებას, კარ-ფანჯრის მოწესრიგებას და სხვა ღონისძიებებს გულისხმობს. თუმცა, როგორც ექსპერტები განმარტავენ, ეს „ერთხელ გადახდის“ პრინციპით მუშაობს, თუ პირველად მეტს ვიხდით, ეს თანხა გარკვეული ხნის შემდეგ ენერგიაზე დაზოგილი ბიუჯეტით გვიპრონდება და ოჯახისთვის გაცილებათ მომგებიანია. კომფორტის დონე შენარჩუნებული და გაუმჯობესებულია და გარემოსაც ნაკლები ზიანი ადგება.

ენერგოგადასახადების შემცირების ერთ-ერთი მარტივი გზა განათების სისტემის ცვლილებებია. ენერგობიუჯეტის 11% სწორედ განათებას ხმარდება. მაგ. კომპაქტური ენერგოდამზოგავი ნათურა 75%-ით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს და 10-ჯერ უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ვარვარა ნათურები, რომლებსაც მასობრივად ვიყენებთ. თუ ვარვარა ნათურა 50-60 თეთრი ლირს, ენერგოდამზოგავი ნათურის ფასი 5-დან 12 ლარამდეა. წელიწადში, საშუალოდ, ერთი ნათურის ჩანაცვლებით კი 175 კვტ. სთ-მდე (დაახლოებით 32 ლარამდე) ენერგიის დაზოგვა შეგვიძლია.

ორი წლის წინ თბილისის რამდენიმე მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში ჩატარებულმა ენერგოაუდიტმა აჩვენა, რომ ზოგადი ტენდენციით, შეძლებული ოჯახები უფრო ეკონომიურ ნათურებს მოიხმარენ, ვიდრე – ნაკლებადშეძლებულები. ფაქტია, რომ ამ ადამიანებმა არ იციან, როგორ შეუძლიათ ენერგიის დაზოგვა, ასე რომ არ იყოს, ენერგოდამზოგავ ნათურებს ამჯობინებდნენ, არ დასჭირდებოდათ მათი ხშირად გამოცვლა და ენერგიაში მეტის გადახდა.

რაც შეეხება სხვა ელექტრომობილობებს, მათი ენერგომაჩვენებლების მიხედვით, A კლასის ტექნიკა G კლასის ტექნიკასთან შე-

დარებით, სამჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას მოხმარს.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოსთვის საცხოვრებელ სახლებში ენერგოდამზოგვის პოტენციალი 13,2 მილიარდ კვტ. სთ-ს აღნევს (გათბობის ჩათვლით). თუ ელექტროენერგიის საშუალო ფასად 0,14 ლარს მივჩინევთ, მაშინ ნლიური ეკონომია 1,8 მილიარდი ლარის ტოლი იქნება. ექსპერტული დაანგარიშებით, თანამედროვე მოთხოვნებით თბოიზოლირებული შენობების გასათბობად იმ ენერგიის 18%-იც გვეყოფა, რასაც ახლა არათბოიზოლირებული შენობებისთვის ვიყენებთ.

საქართველოში სამშენებლო თვალსაზრისით, სამ ეტაპს გამოყოფენ: 1920 წლამდე აშენებული შენობები, 1920-1990 წლებში აშენებულები და 1990 წლიდან დღემდე.

„საბჭოთა ნორმებზე ორიენტირებული ყოველი შენობა ენინააღმდეგება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. შენობები, პრაქტიკულად, დღე-ლამის განმავლობაში განუწყვეტილივ გათბობას მოითხოვს. საჭიროა, რომ საქართველო დაუყოვნებლივ დაადგეს ევროპულ გზას – თბოიზოლირებული შენობების მშენებლობას და არსებული შენობების თბოიზოლირებას, როგორც ეს გაკეთდა ნორვეგიაში, გერმანიში და სხვაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველწლიური მატებით უამრავი ენერგიის უაზროდ დაკარგვა აუარესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას და ქმნის ენერგეტიკული, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის საფუძველს,“ – ვკითხულობთ 2011 წელს ჩატარებული კვლევის („საცხოვრებელი შენობების ენერგეტიკული და ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში“) ანგარიშში.

შენობებში ენერგიის 82%-მდე ბეტონისა და რკინაბეტონის გათბობაზე იხარჯება. ძველი შენობების უმეტესობას დაზიანებული აქვს სახურავი, ფანჯრები, კედლები, იატაკი და ა.შ. სითბოს დიდ ნანილსაც სწორედ აქედან ვკარგავთ. მხოლოდ მოწესრიგებული კარ-ფანჯარა 10-დან 25%-მდე ამცირებს სითბოს გადინებას, შესაბამისად ენერგიის გადასახადსაც.

კვლევის თანახმად, ბოლო ასწლიან ისტორიულ პერიოდში კედლების მახასიათებლებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კედლები დროთა განმავლობაში 4-ჯერ გათხელდა, ხოლო მათი წონა დაახლოებით 6,5-ჯერ შემცირდა, შესაბამისად, კედლებიდან სითბოდანაკარგები გაიზარდა.

■ ექსპერტული დაანგარიშებით, თანამედროვე მოთხოვნებით თბოიზოლირებული შენობების გასათბობად იმ ენერგიის 18%-იც გვეყოფა, რასაც ახლა არათბოიზოლირებული შენობებისთვის ვიყენებთ.

„მსოფლიო გამოცდილება საქართველოს-თვის“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხვან როგანიზაციებს შორის, რომლებიც საქართველოში ამ თემაზე მუშაობენ. დირექტორი ენერგეტიკულ საკითხებში, მურმან მარგველაშვილი ამბობს, რომ ენერგოფექტური ღონისძიებების გატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ ახალაშენებულ შენობებშია, რომელთა კედლების სისქეც ზოგჯერ 25 სმ-ზე მეტი არ არის.

„ზოგან პირდაპირ ეტყობა კიდეც, იმის გამო, რომ კედლები სითბოს ატარებს, მათზე ორთქლი კანდენსირდება. ცხადია, ასეთი სახლის გათბობა და სითბოს შენარჩუნება გაცილებით რთულია და უფრო მეტ დანახარჯებს მოითხოვს. მათვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორმე მოახერხონ და თავიდან გადაიხადონ ცოტა მეტი, შიგნიდან ან გარედან დაათბუნონ კედლებიც და გადასახადების დაზოგვით პირები დანახარჯის ტვირთი იმდენად მძიმეც არ იქნება, საბოლოო შედეგი კი დიდ შევებას მისცემს. თუმცა ამ ყველაფრის დანერგვას დასაწყისისთვის სახელმწიფოს მხარდაჭერა და გარკვეული შეღავთები სჭირდება,“ – ამბობს მარგველაშვილი.

საქართველოში „ენერგოფექტურობის ცენტრის“ დირექტორი გიორგი აბულაშვილი განმარტავს, რომ მშენებლობების კუთხით განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული ნაწილია. მისი თქმით, თუ ენერგოფექტური ღონისძიებები შენობის დაპროექტებამდე გათვალისწინებული, მაშინ მათი აშენება შესაძლოა დანარჩენ მშენებლობებზე მხოლოდ 5%-ით მეტიდაჯეც (მასობრივად ამ ტიპის მშენებლობების დანერგვის შემთხვევში კითითქმის იმდენივე, რაც მანამდე), მაშინ როდესაც, ასეთ შენობებში ენერგიის მოხმარება მინიმუმ 20%-ით მცირდება.

დარგის ექსპერტები ამ მიმართულებით კანონმდებლობის არარსებობას პროცესის განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებენ. გიორგი აბულაშვილის განმარტებით, სახელმწიფოს მხრიდან დეკლარირებული და ქმედითი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი.

„სახელმწიფოს ვალდებულება, პირველ ყოვლისა კანონმდებლობის შექმნაა, მან უნდა შექმნას რეგულაციების სისტემა, რომელიც განახლებად ენერგორესურსების ათვისებასა და ენერგოფექტურობას დაარეგულირებს,“ – ამბობს აბულაშვილი.

გასული 15 წლის განმავლობაში რამდენჯერმე დაიწყო მუშაობა ენერგოფექტურობისა და განახლებად ენერგეტიკის სპეციალური კანონპროექტის შემუშავებაზე, თუმცა პარლამენტამდე არც ერთ მათგანს არ მიუღწევია. ბოლო სამუშაო ჯგუფი 2008 წელს USAID-ის მიერ იყო დაფინანსებული. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტში ძირითადი აქცენტი საინფორმაციო უზრუნველყოფაზე კეთდებოდა, მურმან მარგველაშვილი იხსენებს, რომ სამუშაოს ბოლოს მათ მთავრობიდან მისწერეს, რომ „ეფექტურობა ბიუჯეტისა და ეკონომიკისთვის ზედმეტი ტვირთი იქნებოდა.“ გიორგი აბულაშვილი, რომელიც ამ ჯგუფის მუშაობაში იყო ჩართული, ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ძალიან კარგად იკვეთება, რამდენად დაბალია ამ მიმართულებით ცნობიერება როგორც მოქალაქეებში, ისე გადაწყვეტილების მიმღებ პირებში:

„ენერგოფექტურობა მთელ მსოფლიოში ენერგოუსაფრთხოებისა და მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების გზად მიიჩნევა. მით უფრო, რომ ის კანონპროექტი საერთოდ არ გულისხმობდა საგადასახადო სტიმულაციებს და ძირითადი აქცენტი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე იყო. არადა, საგადასახადო თუ სახელმწიფოს მხრიდან სხვა სტუმალციების პირობებშიც კი ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები უმჯობესდება,“ – ამბობს აბულაშვილი და ხაზს უსვამს, რომ ქვეყნის შიგნით დაზოგილი ენერგიის ექსპორტზე გატანა ქვეყანას კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, დარგის განვითარების კვალდაკვალ კი დამატებითი სამუშაო ადგილებიც შეიქმნება. ენერგოფექტური მშენებლობის განვითარებისთვის ის აუცილებელად მიიჩნევს სამშენებლო სტანდარტების გადახედვასაც.

„ევროკავშირის ზოგ ქვეყანაში ბინების სავალდებულო ენერგოპასპორტიზაციაც კი ხდება. ეს ნიშანავს, რომ ბინის გაყიდვა-გაქირავებისას აუცილებლად უნდა ჩატარდეს აუდიტი და მყიდვებრივად ან დამქირავებელმა ნახოს, როგორი იქნება ამ შენობის სავარაუდო ენერგოდანასარჯები,“ – აცხადებს აბულაშვილი.

კომპანიების რიცხვი, რომელთა საქმიანობაც ენერგოფექტურობის პრინციპებს ემყარება, საქართველოში ერთეულებს არ აღემატება. არც ისეთი ორგანიზაციებია ბევრი, რომლებიც შესაბამის ტექნოლოგიებში

კვლევის თანახმად,
პოლო ასწლიან ისტორიულ
პერიოდში კედლები 4-ჯერ
გათხელდა, ხოლო მათი
წინა დაახლოებით 6,5-ჯერ
შემცირდა, შესაბამისად,
კედლებიდან სითბოდა-
ნაკარგები გაიზარდა.

ინვესტირებისთვის მზად არიან. მურმან მარგველაშვილი ამბობს, რომ ამ მხრივ ბიზნესს მხარდაჭერა და წახალისება სჭირდება, მაგალითად, როგორიცაა საგადასახადო შეძავათები კონკრეტული ტიპის ტექნოლოგიების, მასალების შემოტანაზე, ასევე ბანკების წახალისება, იაფი კრედიტების სისტემის დანერგვა და ა.შ.

2008 წლიდან ამოქმედდა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) მიერ გამოყოფილი საკრედიტო ხაზით დაფინანსებული პროექტი, რომელიც ენერგოკედიტების გაცემას გულისხმობდა. 35 მილიონიანი ხაზით ქართულმა სახარმოებმა ნაყოფიერად ისარგებლეს და ტექნიკური გადაიარაღების შემდეგ ენერგიის დანახარჯი მნიშვნელოვნად შეამცირეს. თუმცა, როგორც აბულაშვილი ამბობს, პროექტს საყოფაცხოვრებო მიმართულებით, პრაქტიკულად, შედეგი არ ჰქონია. EBRD-იმ ახალი კონკურსი გამოაცხადა საკონსულტაციო კომპანიებისთვის, რათა ენერგოკრედიტების გაცემისთვის კრიტერიუმები და პროცედურები დაიხვენოს.

გარდა პრაქტიკული საჭიროებისა, ენერგოეფექტურობის მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმას საქართველოს მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებები ავალდებულებს. 1996 წელს საქართველო ენერგეტიკული ქარტიის ხელმომწერი გახდა, მნიშვნელოვანია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტიც. ახალმა მთავრობამ „ევროპის ენერგეტიკული თანამეობრობის“ სრულ წევრობაზე შეიტანა განაცხადი. მას შემდეგ, რაც თანამეგობრობის წევრი გაგხდებით, უშუალოდ ამ მიმართულებით კანონმდებლობის შექმნა და მისი ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება, ჩვენი პირდაპირი ვალდებულება იქნება.

ენერგოეფექტურობის მიმართულებით მუშაობა არა მხოლოდ ენერგოსაქტურობისთვის, არამედ გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების კუთხითაც მნიშვნელოვანია. 2010 წლიდან თბილისი (და შემდეგ უკვე რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი), „მერების ხელშეკრულების“ მხარეც გახდა, რაც მუნიციპალიტეტების დონეზე ჰაერში ნახშიროუნგის გაფრქვევების შემცირებას გულისხმობს. ამის მთავარ ინსტრუმენტად კი სწორედ ენერგოეფექტურობა მოიაზრება. სითბური გაფრქვევების დახმოცემით 40% საქართველოში სწორედ შენობებზე მოდის.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით მუშაობას აპირებენ. მინისტრის მოადგილის, ილია ელოშვილის განმარტებით, იქმნება სამმართველო, რომელსაც ამ თემებზე მუშაობა დაევალება და ენერგოეფექტურობის საკითხს სამომავლოდ სტრატეგიაშიც გაითვალისწინებენ.

ექსპერტული შეფასებით მიიჩნევა, რომ სახელმწიფო მასშტაბით, ეკონომიკურად მომგებიანი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარებით (მაგალითად, ვარვარის ნათურის ენერგოეფექტური ნათურით შეცვლით, შენობების დათბუნებით, ავტოტრანსპორტის ბუნებრივ გაზზე გადაყვანით, ენერგოეფექტური ღუმელებით, საავტომობილო პარკის განახლებით ან ბუნებრივ გაზზე გადაყვანით, სამშენებლო მასალის შეცვლით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, სეზონური დროის შემოღებით), შესაძლებელია ქვეყნის საერთო ენერგო-მოხმარების დაახლოებით 25%-ით შემცირება, ენერგოუსაფრთხოების დონის გაზრდა, ათეული და ასეული მილიონი დოლარის ღირებულების ენერგიისა და ინფრასტრუქტურის ხარჯის დაზოგვა.

მურმან მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ენერგიის დაზოგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ ჩვენი მსგავსი ქვეყნისთვისაა, როდესაც მოხმარებული ენერგიის 60-65%-ს იმპორტირებული ენერგია შეადგინს. „იმ ჰიდროენერგიის მოხმარება, რომელზეც ბოლო დროს ამდენს ვლაპარაკობთ, 20%-ს არ აჭარბებს. გარე დამოკიდებულების რისკების შესამცირებლად კი არსებული ენერგიის რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა. თუმცა გარე ვალდებულებასთან ერთად მნიშვნელოვანი შიდა ვალდებულებაა: დავეხმაროთ საკუთარ მოქალაქეებს, რომ უფრო ნაკლები ენერგიის ანდა იგივე ენერგიის რაციონალური გამოყენებით მეტი თანხა დაზოგონ,“ – აცხადებს მარგველაშვილი.

მისივე თქმით, პროცესის დასაწყებად და ხელშესაწყობად აუცილებელია კომპლექსური ქმედებები, მაგრამ პირველი მაინც საჭირო ინფორმაციის შექმნა და გავრცელებაა. რათა ერთი მხრივ, მომხმარებლებმა იცოდნენ რა სტირდებათ და, მეორე მხრივ, პოლიტიკოსებმა იცოდნენ, რა შესთავაზონ მოქალაქეებს. ■

■ „ენერგოეფექტურობა მთელ მსოფლიოში ენერგოუსაფრთხოებისა და მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების გზად მიიჩნევა.“

შემონიჩრობაზე ლაპარაკი აღმიანიშნული

იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტერი უკვე წლებია, სოციალურად გაჭირვებულებს ეხმარება – აქ ცხელი სადილით ყოველ დღე 50-ზე მეტ ადამიანს უმასპინძლდებიან.

სოფო აფციაური



ავტოლის დასახლებაში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტერი უკვე 19 წელია ფუნქციონირებს.

2000 კვადრატულ მეტრზე, ორი სამლოცველოს გარდა, მორჩილებისა და მონაზენების საცხოვრებელი კელიები, სატრაპეზო, სანთლების მაღაზია და ხატების საწერი ოთახია გმოყოფილი. მონასტერს უკან კი პატარა ბოსტანი აქვს, სადაც მონაზენებსა და მორჩილებს ცერცვი, ბარდა და სხვადასხვა სახის ბოსტნეული მოჰყავთ.

მონასტერს რელიგიური ფუნქციის გარდა, სოციალური ფუნქციაც აქვს შეთავსებული. შემოწირულობები, რითაც მას მრევლი ეხმარება, მთლია-

ნად გაჭირვებულ მისახლეობას ხმარდება.

ყოველდღიურად 1-დან 2 საათამდე აქ თბილისის სხვადასხვა უბინდან, საკვების მისაღებად ყველა ასაკის მოსახლეობა დადის.

ნანილი იქვე, სპეციალურად გამოყოფილ სატრაპეზოში იკვებება, ზოგს საკვები საკუთარი ოვალის წევრებისთვის სახლში მიაქვს, მონასტრიდან ასევე, ფულსა და ტანსაცმელს გასცემენ.

ილუმენია, დედა იოანა ამ საქველმოქმედო საქმიანობას 19 წელია ხელმძღვანელობს. ის 37 წლის იყო, როდესაც შვილის გარდაცვალების შემდეგ, ეპლესური ცხოვრება გადაწყვიტა და დედათა მონასტერში დაიწყო მსახურება.

“მონასტრის ალდეგინის დღიდან, ჩვენთან მოწყალების სათხოვნელად თბილისის სხვადასხვა უპირდან უამრავი ადამიანი მოდიოდა. გადავწყვეტეთ, უფასო სასაძილო გაგვეხსნა. თავდაპირველად, გაჭირვებულ ოჯახებს დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლოთ საკვების მიღება, თუმცა, მონასტრის ცხოვრების რეჟიმიდან გამომდინარე, გაგვეჭირდა ყველას დამარება და ახლა, 1-დან 2-მდე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩვენთან ისადილოს ან კერძი სახლში წაიღის,” – ამბობს ილუმენია.

მონასტერს დღის განმავლობაში 50-მდე ადამიანი აკითხავს, თუმცა, დღესასაულებზე ეს რიცხვი მატულობს. მარხვის დღეებში კი სატრაპეზოში მხოლოდ სამარხოვ საჭმელს აკეთებენ.

სადილის მომზადებასა და ამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობაში დედა იოანას გარდა, მონაზენები და მორჩილები არიან ჩართულები.

სატრაპეზოში ყველა მორჩილს თავისი საქმე აქვს. ერთკვირიანი მორიგეობის პრინციპით, ზოგი კერძს ამზადებს, ნანილი ალაგებს, ჭურჭელს რეცხავს ან ბოსტანს უვლის. ზოგი კი იქ მისულ ადამიანებს ტანსაცმელსა და ფულს უნანილებს.

დედა ნატალია, რომელსაც ასაკის გამო, მხოლოდ მსუბუქი საყოფაცხოვრებო საქმიანობა ევალება, ამბობს, რომ დედა იოანას ინიციატივა, რომელიც გაჭირვებული მოსახლეობის დაპურებას ემსახურება, მნიშვნელოვანია სოციალური თვალსაზრისით, რადგან, დღესდღეობით თბილისში ძალიან ბევრ ადამიანს თავის გამოკვების საშუალებაც კი არ აქვს.

„სხვადასხვა მონასტერსა და ეკლესიაში მედავითნედ ვმსახურობდა. 50 წელია, ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობ, მაგრამ, ის, რაც ამ მონასტერში წლებია დედა იოანას ინიციატივით კეთდება, ყველაზე დიდი საქმეა. აქ მოდის ყველა ასაკის ადამიანი, ზოგს შვილები ჰყავს სახლში და მათ სარჩენად მნიმალური თანხაც არ აპარა, უმეტესობა უმუშევარი და საარსებო მინიმუმის მქონეა, შესაბამისად, ჩვენ, მორჩილებიცა და მონაზენებიც დიდი სიხარულით ვაკეთებთ ამ საქმეს,” – ამბობს დედა ნატალია.

თავისუფალ დროს მონაზენები ხატებს წერენ, იქვეა სპეციალურად გამოყოფილი ოთხები, სადაც ქარგვის, ხატერისა და სხვადასხვა ხელსაჭმის კეთების საშუალება აქვთ.

ალანიშვნავია, რომ მონაზენები ხატერიდან შემოსულ თანხასაც ქველმოქმედებას მოახმარენ.

ასმათ ოქროპირიძე, რომელიც პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნეა, წლებია მონაზენებთან მეცობრობს და იკონოგრაფიაში საკუთარ ცოდნას უზიარებს.

„ამ მონასტერში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა, მონაზენებს ახალგაზრდა ხატმენერი ქეთევან მაჭავარიანი კურირებს და სწორედ მან შემატყობინა



დედა იოანას საქმიანობის შესახებ. ამ ადამიანების ცხოვრებას დიდი შედეგი მოაქვს. მონაზენები ჩემთან არასდროს საუბრობზე ქველმოქმედებაზე, თუმცა, სშირად მინახავს, როგორ მოდიან დღის გამნავლობაში უპოვარი ადამიანები სასადილოდ, ზოგს კი საკვებსა და გზის ფულს ატანენ. მონასტერი მაშინაა ნარმატებული, როცა ერთი ორგანიზმივთ ფუნქციონირებს. ილუმენია იოანას მოღვაწობა ამის კარგი მაგალითია. 24 საათის გამნავლობაში მონაზენებს სხვადასხვა საქმე აქვთ განანილებული, ლოცვის პარალელურად შრომობენ და სხვების დახმარებაზე ფიქრობენ,“ – ამბობს ასმათ ოქროპირიძე. □

იოანე ნათლისმცემლის სახელის დედათა მონასტერის ილუმენია დედა იოანა, თბილისი, 1 მაისი 2013

მიმოხილვა

"ცნობის სისტემი ნამყვანი ცნეა იყოს შემოქმედი"

სტუდენტური ჯგუფის „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისთვის“ თხოვნით ბატონ გია ეძღვერაძეს ვთხოვე თავისი აზრი გამოეთქვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა – უფრო აქტიურადაც ჩართულიყო საზოგადოებრივ პროცესებში, რომელიც განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერას ისახავს მიზნად. თავიდან ბატონმა გიამ სტატიის დაწერის სურვილი გამოთქვა, ჩვენი მიმოწერის დასასრულს კი მომწერა: „მგონი, არავითარი სტატიის დაწერა აღარ არის საჭირო – ეს სამი წერილი სრულად ასახავს სიტუაციას: შესაძლებლობებს, სავარაუდო პრობლემებს და იმ დიდ სარგებელს, რაც სწორად გადაწყობის შემთხვევაში შეიძლება ამ სისტემამ მოიტანოს“ – გიორგი კევლიშვილი, მხატვარი.

გიორგი კევლიშვილი

ბატონი გია,

აქური განათლების სისტემის პრობლემებზე საუბარი, რა თქმა უნდა, საჭირო არაა. აღმათ იცით, რომ ახალმა ხელისუფლებამ შექმნა კომისია ფიზიკის გია დვალის ხელმძღვანელობით, რომელსაც რეფორმის კონცეფციის შექმნავება დაევალო. გია დვალის აზრით, მოუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად საუნივერსიტეტო სურვილი უმრავ პრობლემაა დაგროვილი, უმთავრესი აკადემიური თავისუფლების არარსებობაა. ამის მოგვარების გარეშე ყველა სხვა პრობლემის მოგვარების პირობითაც კი ჩვენ გვექნება არა უნივერსიტეტები, არამედ მათი პარობია. და პირიქით: მაღალი ხარისხის აკადემიური კადრების მოზიდვა და მათი აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა მხოლოდ წაადგება ყველა სხვა პრობლემის გადაჭრას.

შეუძლებელია კვლევისა და შემოქმედების, სწავლების თავისუფლება იქ, სადაც პროფესორებს 1, 2, მაქსიმუმ – 3 წლიანი კონტრაქტები აქვთ, და ამდენად, მუშაობისას დამოკიდებული არიან არა მეცნიერებისა და შემოქმედების ინტერესებზე, საკუთარ სინდისტე და რწმენაზე, არამედ – კონტრაქტის დამდებზე. ამით გაუქმდა აკადემიური თავისუფლების უმთავრესი წინაპირობები და უნივერსიტეტებში მივიღეთ აკადემიური პერსონალი, რომელიც ერთადერთი – ხელისუფლებისადმი ღონიალიბის ნიშნით იყო შერჩეული. ვფიქრობ, სიტუაციის გადაჭრებით შეფასება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პრობლემას მხოლოდ განათლების სფეროს მდგომარეობისთვის არ აქვს მნიშვნელობა, არამედ – მთლიანად საზოგადოების განვითარების თვის. რომ არა ასეთი სიტუაცია უნივერსიტეტებში,

ჩვენ რომ თუნდაც რამდენიმე პროფესორი გვყოლოდა უნივერსიტეტებში, რომელიც შეზღუდული არ იქნებოდნენ ხელფასებით და კონტრაქტების ამ ფორმით, უამრავი დრამატული მოვლენა ვერ მოხდება, ზოგადად არადემოკრატიული პროცესები ჩვენში ასე ვერ გამლიდა ფრთხებს. ბუნებრივია, რომ კვლევისა და შემოქმედების თავისუფლება უნდა მივიწინოთ არა კერძოდ მეცნიერების ან ხელობრების, არამედ – საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს განვითარების, ზოგადად, ჩვენი ცხოვრების მოწყობის უმთავრეს საფუძვლად.

პირველ კონკრეტულ ნაბიჯად გია დგას, კომისიის წევრებთან და სხვებთან ერთად, მიაჩინათ ტენუარის სისტემის შემოღება. რაც გულისხმობს:

1. სახელმწიფო ცნობს პასუხისმგებლობას განათლების სისტემის განვითარებაზე, აღიარებს საზოგადოებრივ დაკუთხას, და განათლებას აცხადებს უმთავრეს პროინტეტად.

2. ამის შესაბამისად, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სწავლებას / კვლევას / შემოქმედებას განათლების სიტემში, და ამის ერთადერთ გზად მიაჩინა უმაღლესი დონის სამეცნიერო / შემოქმედებითი ინდივიდების მოზიდვას უნივერსიტეტებში ე.წ. ტენუარის სტატუსით.

3. მის გამოვლენა, ვინ არის ტენუარი, ხდება ე.წ. გარე რეფერირების პრინციპით: კანდიდატებს აფასებენ არა ამა თუ იმ უნივერსიტეტის მართველები, ან თუნდაც სახელმწიფო, არამედ – საერთაშორისო უმაღლესი დონის მეცნიერები/შემოქმედები. სახელმწიფო მხოლოდ უზრუნველყოფს მათთვის ინფორმაციის მიწოდებას და შეფასებათა მიღებას – მხოლოდ ტენუარისად და ფინანსურად აღასრულებს პროცესს.

4. მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ სფეროში თუ

■ ჩვენ რომ თუნდაც რამდენიმე პროფესორი გვყოლოდა უნივერსიტეტებში, რომლებიც შეზღუდული არ იქნებოდნენ ხელფასებით და კონტრაქტების ამ ფორმით, უამრავი დრამატული მოვლენა ვერ მოხდება, ზოგადად არადემოკრატიული პროცესები ჩვენში ასე ვერ გამლიდა ფრთხებს. ბუნებრივია, რომ კვლევისა და შემოქმედების თავისუფლება უნდა მივიწინოთ არა კერძოდ მეცნიერების ან ხელობრების, არამედ – საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს განვითარების, ზოგადად, ჩვენი ცხოვრების მოწყობის უმთავრეს საფუძვლად.



© 2013 საზოგადოებრივი კონფერენცია

უნივერსიტეტში ტენუარობის კანდიდატი გამოვლენილია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მის აკადემიურ თავისუფლებას გრძელვადიანი (შესაძლოა უვალო) კონტრაქტით, და მაღალი ანაზღაურებით. საწყის ეტაპზე, უნივერსიტეტის მიერ გარკვეული დონისა და ავტონომის მიღწევამდე, სახელმწიფო უზრუნველყოფსა უნივერსიტეტში სათანადო ფინანსებით.

მოკლედ სულ ესაა.

პრობლემა ისაა, რომ ჩვენში ეს იდეები არც ისე ადვილი დასამკიდრებელი აღმოჩნდა. ზოგიერთისთვის ეს როგორც გასაგებია, ზოგიერთისთვის – ვინც რეფორმირებულ სისტემაში თავის როლს ვერ ხედავს – მოულებელი. პრობლემამა მედიის არა-ადეკვატურობაც – ამ, ჩვენი აზრით უმნიშვნელოვანეს საკითხს ან დილეტანტიზმის, ან შეგნებული საბოტაჟის გამო სათანადო ყურადღება არ ექცევა. საზოგადოებრივ არზებ ბოლო 5 თვეს განმავლობაში (რაც კომისიამ მუშაობა დაინტენცია) ამ თემაზე არც ერთი წუთი არ ყოფილა მსჯელობა. სხვა, ორგანიზაციულ და ა.შ. პრობლემათა გამოც, პროცესი ნელა მიღის.

ამ კონტექსტში შეიქმნა რეფორმის მხარდაჭერ სტუდენტთა თვითორგანიზებული მოძრაობა – „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისთვის“, რომელიც 10-მდე უნივერსიტეტის, მათ შორის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს აერთიანებს. აქამდე ამ ჯგუფის მუშობა ამით შემოიფარგლება: ორი შეხვედრა გია დაბლონ მისი აქ ყოფნისას, სპეციალური გვერდი ფეისბუქზე (რომელიც ჩვენში ძალიან პოპულარული მედიაა, და ასევე სივრცე დებატებისათვის), ჯგუფის წევრების სამიზნებით სტატია ამ თემებზე, რომლებსაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასევე – ინტენსიური შეხვედრები და მცდელობა სტუდენტების მხრიდან, უკით გაერკვნენ საკითხში, და მოემზადონ უფრო ფართო მოძრაობისათვის. არსებოთად, ამ საკითხის წამონევით სტუდენტებმა შეიძლება მოიპოვონ ლეგიტიმაცია, როგორც პოლიტიკური დღის წერილის უმთავრესმა განმასზღვრელმა, ერთგვარმა „მეტაპოლიტიკურმა“ ძალამ, რომელიც არ ეკუთვნის რა რომელიმე კონკრეტულ პარტიას, თავად კარანტონს პოლიტიკურ კლასს ზოგადად ფასეულობებს, ეთიკას, დღის წესრიგს...

ჩვენი საერთო აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ეს პროცესი კიდევ ერთი განზომილებით გამდიდრდებოდა, და მხარდაჭერას ყველაზე მაღალი რანგის ქართველი მეცნიერები და ხელოვანები გამოხატავდნენ – უპირატესად ისინი, ვინც რეფორმირებულ სისტემაში ტენუარებად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშ-

ვნელოვანია, რომ ამ წრეში იყოს არტისტიც, და რასაკვირველია, პირველ რიგში თქვენ შესახებ ვიფიქრე.

აი, მოკლედ ყველაფერი, რის შესახებაც თქვენი აზრის შეტყობა გვაინტერესებს.

საუკეთესო სურვილებით,
გიორგი

გიორგი გამარჯვობა

ჩემი აზრით ქართულ რეალობაში ტენუარის პრობლემა აქტუალურია პირველ რიგში ზოგად-საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის კუთხით, ანუ მასზე ტენუარის ფენომენის შესაძლო გავლენით – სწორ და ნაყოფიერ ბალანსში მოსაყვანად.

ტენუარის სისტემის დამკიდრება ჩვენს გარემოში – რომელშიც „პიროვნება-საზოგადოების“ დამოკიდებულება ჯერ არანაირად არ არის გამოკვეთილი და მით უმეტეს დასტრუქტურირებული – მხოლოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ამ პროექტის სწორი (ანუ ადგილობრივ სპეციფიკასთან მიმართებაში) განხორციელების შემთხვევაში ის წარმომაჩენს და გამაგრებს პიროვნების როლს და რწმენას აზროვნების ყველა უბანზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სოციალისტური წარსულის მქონე საზოგადოებისოფას, სადაც პიროვნება და მისი სუბიექტური დამოკიდებულება საგნონას თუ პრობლემასთან ყოველმხრივ იყო უგულებელყოფილი. ჩვენს სოციალისტურ წარსულში ხომ ყველა საზოგადოებრივ უბანზე არსებობდნენ მხოლოდ იდეოლოგიის ან იდეოლოგიასთან მორგებული ლიდერები, პიროვნება კი არსად ფიგურირებდა. დღესაც ასევეა – ფსიქოლოგიის შეცვლა ხომ ყველაზე გრძელვადიანი ამოცანაა.

ტენუარის პრინციპის დაკანონებას ნამდვილად შესწევს ძალა საზოგადოებაში დააფუძნოს პირვენების, როგორც დამკიდრებულ იდეოლოგიებთან ან ლეგიტიმირებულ პარადიგმებთან შესაძლო დაპირისპირების ძალის ფსიქოლოგიური ფაქტორი. ამან შეუძლებელი დადევნითი ეფუქტი არ იქნიოს ჩვენი საზოგადოების მომწიფების საქმეში, სადაც ჯერ არანაირად არ დგას დღის წესრიგში პირვენებების მიერ მოტანილი მუხტის აუცილებლობა – პირვენებას (ანუ მოულოდნელს) ჩვენში არავინ ელის. ჩვენი საზოგადოების ასე ვთქვათ „ერთიანი პროგრესული მოძრაობის“ ძალისი ხომ ჯერ კიდევ თონეიჯერის პირველად ვწებებზე დაყრდნობილი ფსიქოლოგია (სპორტული ხასიათის სიამყე და სოციალურ სხეულში განზავებული სექსუალობა);

■ მხედველობაში უნდა ვიქრინოთ, რომ ტენუარის სისტემას მრავალი წაკლი აქვს. მისი ხარვეზები განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებაშია საშიში, რომელსაც კორუფციისკენ აქვს მიღრევილება, ისეთში როგორიც ჩვენია, და შეიძლება ნომერკლატურის ტიპის სტრუქტურად იქცეს.

პიროვნების ზე-საზოგადოებრივ ძალისხმევაზე ქართულმა გარემომ არაფერი იცის, რადგან ალტერნატიული იმპულსების კულტურა ჩვენში ჯერ არ არსებობს.

პიროვნების სუვერენიტეტი, რომელიც ტენუარის სისტემას შემოაქვს, ხელშეუხებლობის სტატუსს აძლევს ფაქტს, რომ ჭეშმარიტად შემოქმედებითი ცონბიერების ძალისხმევა, შესაძლოა, სრული ალტერნატივა იყოს საზოგადოებრივად დამკვიდრებულ ფასეულობებთან – ეს კი დღი წინ გადადგმული ნაბიჯია ცონბიერების უნიფიკაციის კვლავაც მძლავრი (სოციალიზმიდან გამოყოლილი) ტენდენციის დაძლევის გზაზე (საუბედუროდ ჩვენში არსებული ორად ორი დისკუსიის სახე – საეკლესია და პოლიტიკური, ერთხმად ემსახურებიან ასეთი ურიფიცირების საქმეს). ამიტომ, ქართული საზოგადოების სოციალურ/მორალურ/ფსიქიური მოუმნიფებლობის სტადიაზე, პიროვნების, როგორც მცნების გამოკვეთის და მისთვის საზოგადოებაში მაღალი სტატუსის მინიჭების საქმეში, ტენუარის სისტემის განხირულება დღიდ ძვრას მოიტანს და პროგრესულ ნაბიჯად უნდა იქნეს მოაზრებული.

მაგრამ...

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ტენუარის სისტემას მრავალი ნაკლი აქვს. მისი სარვეზები განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებაშია საშში, რომელსაც კორუუფისკენ აქვს მიდრეკილება, ისეთში როგორც ჩვენია, და შეიძლება ნომრნკლატურის ტრიპის სტრუქტურად იქცეს (ამის არდამშვები და მაკონტროლებელი აპარატის შექმნა კიდევ სხვა პრობლემა).

დასავლეთში, კურძოთ ჩრდილოეთ ამერიკში – სადაც ტენუარს დღი ტრადიცია აქვთ, მან „ელიტარული“ ფორმა მიიღო – ჩემი სულისკვეთებისთვის (შენ ალპათ მიმიხვდები) სრულიად მიუღებელი. როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრების შიდა მამოძრავებელი სოციალური მექანიზმი ის რუტინის ხასიათის ფორმად იქცა გამოკვეთილი კერპთაყვანისკენური ნიშნებით. მოუხედავად იმისა, რომ მე დემოკრატიას არავითარი ფორმით არ ვცნობ – პროფესიონალთა „ელიტარულობა“, რომელიც საზოგადოებრივ ფასეულობათა შეალზე ღამის გადამზევეტ თრიენტირად იქცევა, ჩემთვის ასევე სრულიად შემზარვია.

ისეთ ფაქტ სხეულებში, როგორც შემოქმედებითი სასწავლებლებია (აკადემია, კონსერვატორია, ...) ტენუარი და მისი ავტორიტეტი, გარკვეულ სიტუაციაში პრაქტიკულად დამლუპველი შეიძლება იყოს. ტენუარის სისტემის დაკანონების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებლებს უნდა ჰყავდეთ ტენუართა გარკვეული რაოდენობა, ეს პრესტიჟის საქმეა

და თუ შესატყვისი კანდიდატურები არ მოიპოვება (მაგალითად ჩვენი აკადემიის შემთხვევაში) ექნება ადგილი ამ „ვაკანსიების“ ამოგსებას „ქართული გზებით“.

მეცნიერებაში, ზოგადი სამეცნიერო კვლევის დრნამიკის კარდინალური ხაზის „უკუქცევა შეუძლებელია (ვერაციონი, „მონსატრი ტენუარი“ ვერ დააბრუნებს ფიზიკას ნიუტონმდელ კონდიციაში) – ხელოვნებაში კი, სადაც არანაირი ხაზობრივობა არ არსებობს, ერთმა უკულმართმა პიროვნებამ (რეტროგრად-მარგინალმა ან ეგოცენტრიკმა პრიმიტივმა, ... „ქართული გზებით“ ტენუარმილებულმა), შეიძლება ხელოვნების მდგომარეობის „ეპოქალური უანაცვლა“ გაახორცია – დამუხრუჭის შემოქმედთა მთელი გენერაცია 10 ან 15 წლით.

ამასთან – ტენუარის ცნებას ვერ მოვწყვიტო სამსაფეხურიან აკადემიურ განვითარებას (ასისტენტ, ასოციერებული, სრული პროფესორი), რომელიც მიზანდასახულ კონკურენციას ბადებს და რეალურ (განმასრულებელ) მექანიზმს სთავაზობს კარიერაზმს. ამტრიკალებისთვის, რომელებიც მზინისენ მოძრაობენ და ეს მიზანი ზუსტად და კონკრეტულად ესახებათ (ეს არის განსხვავება ევროპული, დაღლილი და უკვე აპსურდისკენ მზერა ნატყორცი ცნობიერებისგან) კარიერიზმი პრობლემას არ ნარმოადგენს – კარიერიზმი ხომ საერთო (პრაგმატული) მიზნის მიღებებისთვის მშვენიერად მუშაობს და ქმედითი კატალიზატორია. თავდა ეს ცნება ამერიკულ კონტექსტში არც კი გულისხმობს უარყოფით კონოტაციებს.

ეს არის ის ძირეული ფსიქოლოგიურ/ფილოსოფიური მიზეზი, რის გამოც ტენუარის სისტემა ევროპაში ვერ გახდა პოპულარული.

ამიტომ ხელოვნებაში, სადაც შემოქმედების ხარისხისთვის დაუგეგმავი და შემთხვევითი გამოცდილება, სპონსაზური და შენაგან რჩებაზე აგებული აქტივობა განმასაზღვრელი და უაღრესად სასურველია, გრძელვადიანი სწავლების (უვადო კონტრაქტს ვგულისხმობ) პრიცესის რუტინად ქცევის საშიშროება მასწავლებლისთვისაც და სტუდენტისთვისაც მძიმე ტვირთია.

მაგრამ, როგორც ამბობენ, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია – ზემოთმოყვანილი მსჯელობით და შიშებით კაცმა შეიძლება ყოველგვარი მოძრაობა დაბლოკის, ამიტომ რისკის განევა, კონცეფციაზე სერიოზულ მუშაობასთან შეთავსებით, აუცილებელია.

კრიტიკული მოსაზრებები არ ნიშნავს ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას პროცესთან, პირიქით, წერილის დასაწყისში განხილული პროექტი და იქ აღნიშნული პოზიტიური მხარეები ჩემთვის პრი-

■ კრიტიკული მოსაზრებები არ ნიშნავს ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას პროცესთან, პირიქით, წერილის დასაწყისში განხილული პროექტი და იქ აღნიშნული პოზიტიური მხარეები ჩემთვის პრიორიტეტულია. ისე რომ, ამ პროექტის განხილულებას, რა ფორმითაც არ იქნება საჭირო, ჩემგან ყოველთვის მხარდაჭერა ექნება.

რიტეტულია. ასე რომ, ამ პროექტის განხორციელებას, რა ფორმითაც არ იქნება საჭირო, ჩემგან ყოველთვის მხარდაჭერა ექნება.

დიდი მადლობა, გიორგი, და ასევე გიას და სტუ-დენტებს, ჩემი განსჯის სჭიროება რომ დაინახეთ და ღირებულად თვლით ჩემს მსოფლმხედველობას.

საუკეთესო მოკითხვებით,
გია ეგვერაძე

გიორგი პეტლიშვილი

ბატონოვია,

ჩვენი ურთიერთობის სულ დასაწყისიდან, შესაძლოა, ეს სულაც პირველი წერილი იყო, კარგად მახსოვს თქვენ მიერ აღნიშნული არსებოთი განსხვავება ჩვენსა და დასავლურ კულტურებს, თუ აზროვნების წესებს შორის – რომ ჩვენთან თუ ადამიანები სისტემებს, ინსტიტუციებს ანიჭებენ მნიშვნელობას, ევროპული ცხოვრების ცენტრში პიროვნება დგას. ეს მნიშვნელოვანი დაკვირვება ჩემთვის კრიტიკულია ყველა იმ სიტუაციაში, სადაც მისი გამოყენება მართებულია. დღესაც ტენუირებაზე მსჯელობისას, აშკარაა, რომ ჩვენ ვგულისხმობთ ერთადერთ რამეს: რომ უნივერსიტეტში წამყანი ფიგურა უნდა იყოს შემოქმედი, ვინც თავისი შრომით, ბიოგრაფიით დამტკიცა, რომ არა 9-დან 6-მდე, არამედ – დღეში 24 საათს, კვირაში 7 და წელნადში 365 დღეს – მხოლოდ საკუთარ მონოდებას უძლვის. მხოლოდ ასეთ ადამიანთა შორის შეიძლება მოიქცნონ ისინი, ვისაც შეუძლიათ რეალობად აქციონ იდეალი, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ.

თავის დროზე ჩემზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა მერაბ მამარდშვილის ნათქვამში, რომ „ფილოსოფიის სწავლის ერთადერთი გზა არსებობს – ურთიერთობა ცოცხალ ფილოსოფოსთან“. ეს გამონათქვამი ვფიქრობ, რომ სრულიად მართებულია შემოქმედთან – ხელოვანთან თუ მეცნიერთან დაკავშირებითაც.

იმ სიტუაციაში, როცა ბანალური ოპტიმიზმით არ ვართ შეზღუდულები და კარგად გვასხვოს, რომ „არ უნდა ვეძებოთ განათლება უნივერსიტეტებში“, ეს მექანიზმი ერთადერთი სწორი გამოსავალი მგონია, რომ უნივერსიტეტი იმიდან რაც დღესაა – ინსტიტუციონური ციონიზმის შემთხვევაში ცოდნის ტირაუზირების სივრციდან, სადაც ბიუროკრატიას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აზროვნებას და შემოქმედებას, შესაძლოა, იქცეს იმად, რაც მონოდებით და დანიშნულებით უნდა იყოს – შეხვედრის (და არა – კო-

მუნიკაციის) ადგილად ცოცხალ შემოქმედსა და იმ ახალგაზრდას შორის, რომელიც პიროვნებად ჩამოყალბების სათავეებთან დგას.

მშვენიერად მესმის, რომ ასეთ პიროვნებათაგან ზოგიერთი, შესაძლოა, ყოველთვის არ პასუხობდეს მოლოდინს, მაგრამ რაც არ უნდა უცნაურობანი ახასიათებდეს რომელიმე კონკრეტულ ადამიანს, ეს ვერ გახდება მიზეზი, როგორც თქვენც ამბობთ, რომ „მგლის შეშით ფარა გავწყვითოთ“. ალტერნატივა ძალზე მარტივია: სისტემა, ინდიეტრინაციის მანქანა, სადაც ძალუფლება საშუალო და უფრო დაბალი ნიჭის ხელოსნების უპყრიათ ხელო, თუ სივრცე თავისუფლების შესაძლებლობისთვის, სადაც თავისი მონიცემების შესაბამისად მცხოვრები ადამიანები ურთიერთობენ, და ბუნებრივია, არაფერს სხვას, გარდა ამ მონოდების განხორციელებისაკენ სვლისა, არ ენიჭება მნიშვნელობა.

ის მოსალოდნელი სირთულეები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, რა თქმა უნდა, ცენტრალურია იმ პრობლემათა შორის, რომელიც უქმდება ახლავს ტენუირების მექანიზმის დამკვიდრებას. ერთი მხრივ ესაა საფრთხე ელიტარულ „ორდენად“ ჩამოყალიბებისა, იმ სულისშემსუთველი სიტუაციის შექმნისა, რომელსაც ჰესე აღწერს თავისი ბოლო რომანში, სადაც ეზოთერული თამაშის კულტი კასტილიაში შეუძლებელს ხდის სპონტანურობას და მოულოდნელობას, ამდენად – თავად სიცოცხლეს, რაც საბოლოოდ უეჭველად უნაყოფო გარჯად აქცევს ნებისმიერ ძალისხმევას. და მეორე საფრთხე – ესაა თავად იდეის დისკრედიტაცია და პროფანაცია, როცა თავისთავად სწორი იდეა – მისი მახინჯი, კორუფციული სურვეატით ჩანაცვლდება, და მხოლოდ აპათიას და ანტაგონიზმს დაბადებს ადამიანებში.

მაგრამ, როგორც თქვენც აღნიშნავთ, ესაა მხოლოდ პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც თვითდენებას ვერ მივანდობთ, და რომელთა გამოცხვრიში შრომა მოვაწეობს. სინამდვილეში სიტუაცია ისეთია, რომ ამ შრომის გარეშე ჩვენ უეჭველად და გარდუვალად მივიღებთ ტენუირებას საქართველოში, მისი მახინჯი, სავარაუდოდ, უფრო მეორე სახის – კორუფციული ფორმით – როგორც თქვენ ამბობთ, „ქართული გზებით“. და თქვენ ჩართვაც პროცესში ამიტომაც მგონა აუცილებელი, რომ ამისაგან მაქსიმალურად დავიზღვოთ თავი.

არსებოთად, ამოცანა შეიძლება ჩამოყალიბდეს არა როგორც „ტენუირების დანერგვა საქართველოში“, არამედ – როგორ შევძლოთ, რომ ტენუირების გარდუვალობის პირობებში, აკადემიური თავისუფლების მისტიფიკაციის ნაცვლად მივიღოთ

■ მთავარია არა ტენუირების მექანიზმის დამკვიდრება – რაც თავისთვად მხოლოდ ტენუირების მომენტია, კონტრაქტის ფორმა, არამედ – ტენუირების მიცემა უმაღლესი რანგის შემოქმედთათვის. ამ სიტყვაში, ისევე, როგორც გადა დაალი, ორივეს – მეცნიერსაც და ხელოვანსაც საც ვგულისხმონ.



ფოტო ლავრ დანიელიძე

მეტ-ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი, განვითარება-და ვითარება, რომელიც არა ინსტიტუციებისადმი რწმენას, არამედ – ჩვენს უწყვეტ ძალსხმევას და ეფუძნება.

სწორედ ამიტომ მგონია სწორი ამის იმ გზით სვლა, როგორც გია დვალი ფიქრობს, და როგორც თქვენ საუპრობა წერობის.

ეს ნიშნავს, რომ მთავარია არა ტენუირების მექანიზმის დამკვიდრება – რაც თავისთვად მხოლოდ ტექნიკური მომენტია, კონტრაქტის ფორმა, არამედ – ტენუირების მიცემა უმაღლესი რანგის შემოქმედათავის. ამ სიტყვაში, ისევე, როგორც გია დვალი, ორივეს – მეცნიერსაც და ხელოვანსაც ვგულისხმობ.

ეს უმაღლესი რანგი დგინდება არა კონტრულ უნივერსიტეტთა მიერ – რადგან დღეს მათ ამის არც ინტელექტუალური, არც ტექნიკური რესურები, ხშირდ – არც შზაობა არ გააჩიათ, არამედ – ტენუირების სახელმწიფო კომისიის მიერ. ეს კომისია თავად კი არ ანიჭებს სტატუსს, არამედ მხოლოდ შუალედური რეოლის როლს ასრულებს გარე რეფერენციების პრინციპით ტენუარების გამოსავლენად.

უმთავრესი კრიტერიუმი, რითაც ეს გამოვლენა უზღდა მოხდეს, არის არა ფორმალური კრიტერიუმები (თუმცა ისინიც იქნება გათვალისწინებული) არამედ – შემოქმედის ორიგინალობა. ამის განსაზღვრის კომპენტენცია კი, ბუნებრივია, აქვთ არა ბიუროკრატებს, ამა თუ იმ უნივერსიტეტის მმართველებს, არამედ – თავად ორიგინალურ შემოქმედ

დებს. კომისია სწორედ მათთვის, საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის მიწოდებას და შეფასებების მიღებას უზრუნველყოფს.

ყველას გვესმის, რომ ეს სანგრძლივი, და შრომა-ტევადი პროცესია. მაგრამ ისინი, ვინც რეალურად არიან დაინტერესებულნი რეფორმის წარმატებით, სრულად იზარებენ გია დვალის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ რა სირთულეებსაც არ უნდა ნავანყდეთ, არაფრის ფასად, არანაირი პირობით არ შეიძლება კომპრომისი ხარისხთან, არ შეიძლება ტენუარად მიერჩიოთ არა უმაღლესია რანგის შემოქმედი არამედ – „ვინცაა, მათგან საუკეთესო“. ეს ნიშნავს, რომ ტენუარი არაა თვითმიზანი, და თუ ორგანალური შემოქმედი ამა თუ იმ სფეროში არ მოინახა, სხვა გზა არაა, თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას და დროებით „უტენუარობას“ დავჯერდეთ.

როდესაც ასეთი ადამიანები გამოვლენილია, უნივერსიტეტი აზდენს მათ ტენუირებას, სახელმწიფო კი მხოლოდ უზრუნველყოფს მათ შესაბამისი რესურსებით.

ასეთი ვითარება გაგრძელდება საწყის ეტაპზე, მანამ, სანამ უნივერსიტეტები თავად შეძლებენ დამოუკიდებლად ტენუირებას იგივე სტანდარტებით, მას შემდეგ, რაც სხვა უნივერსიტეტებთან გარე რეფერენციების სისტემაში მოექცევათ, როდესაც უნივერსიტეტის რეპუტაცია დამოკიდებული იქნება სხვა უნივერსიტეტთა და მეცნიერთა შეფასებაზე, და არა – უნივერსიტეტის რექტორების ბაქალავრის აქაურ ტელევიზიებში. **□**



მიურა ვიქტორ ტერცენი

შემოს ესაფეროების ჯე ახასიათი პოლიტიკა

ანი ჭანკოტაძე



2001 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 28 აპრილს სამუშაოს შესრულებისას დალუბულთა ხსოვნის დღეს აღნიშნავს. ამ დღეს ორგანიზაცია ასევე აღიარებს უსაფრთხო შრომისათვის ბრძოლის დღედ და წევრ სახელმწიფოებს უსაფრთხო შრო-

მის სტანდარტების შემოღებისაკენ მოუწოდებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად სამუშაო ადგილზე 2 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება, 270 მილიონი დასაქმებული იღებს ტრამვას სამუშაოს შესრულებისას და 160 მილიონი დასაქმებული ხდება პროფესიული დაავადების მატარებელი. შრომის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკით, ყოველ თხუთმეტ წამში ერთი მუშა კვდება, დღის განმავლობაში 6 ათასი მუშა იღუპება. სამუშაოს შესრულებისას დალუბულ მუშაკთა რაოდენობა კი ომის მსხვერპლთა რაოდენობას აღემატება.

დალუბვისა და დასახიჩრების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირი ინდუსტრიულ სანარმოებშია, რომლის ცენტრმაც მესამე სამყაროს ქვეყნებში გადაინაცვლა. სილარიბე და დაბალი სოციალური სტანდარტი, სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობა თუ უფლებადადამცელი ორგანიზაციების სისუსტე ასეთ ქვეყნებში მდგომარეობას ართულებს. თუმცა, დასაქმებულების სამუშაო ადგილას დასახიჩრებისა და სიკვდილიანობის შემთხვევები არაინდუსტრიულ ქვეყნებშიც მაღალია.

როგორც საქართველოს პროფესიული კავშირების თავჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი ამბობს, 2010 წელს საქართველოში მუშების დალუბვისა და დაზიანების შემთხვევები პროცენტულად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩინეთში, რაც მიუთითებს, რომ დალუბვისა და დასახიჩრების სიხშირეზე შრომის უსაფრთხოების სტანდარტები მეტად მოქმედებს, ვიდრე წარმოების მოცულობა.

მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით, 2007 წლიდან დღემდე საქართველოში 243 მუშა გარდაიცვალა, 472 კი მძიმედ დაშავდა. თუმცა, როგორც პროფესიულ კავშირთა გაერთიანების წარმომადგენელი, გოჩა ალექსანდრია ამბობს, ეს სრული სურათი არ არის და ამ დროის მანძილზე სტატისტიკის სათანადო აღრიცხვა არ ხდებოდა.

დაშავებისა და გარდაცვალების შემთხვევებში პრობლემატურია დაზარალებულის ოჯახისთვის კომპენსაციის მიღების საკითხიც. დაზარალებულები კომპენსაციის მიღებას უმეტეს შემთხვევაში სასამართლოში ხანგრძილივი დავების წარმოების შემდეგ ახერხებენ. ალექსანდრია ხაზს უსვამს, რომ

■ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის
მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად სამუშაო ადგილზე 2 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება, 270 მილიონი დასაქმებული იღებს ტრამვას სამუშაოს შესრულებისას და 160 მილიონი დასაქმებული ხდება პროფესიული დაავადების მატარებელი.

ასეთი დავების წარმოება ისეთ რესურსებს უკავშირდება, რისი გაღებაც პროფესიონელისთვისაც კი მძიმეა, არათუ ცალკეული დაზარალებულის ოჯახისთვის.

ჭიათურაში შუქურთის სამთო-გამამდიდრებელი კომპინატის პროფესიონელის პირველადი ორგანიზაციის თავჯდომარე, ნუგზარ შეყილაძე 2011 წლის 7 იანვარს მომხდარ შემთხვევას იხსენებს, როდესაც მაღაროს ცვლის უფროსი გოჩა ასანიძე დაიღუპა. გოჩა ასანიძე 1,5 კილომეტრის სიღრმის გვირაბიდან ფეხით გამოსვლას ცდილობდა, როდესაც ელმავალი დაეჯახა. ელმავალს გაფუჭებული ჰქონდა განათების ფარები და მუშა ვერ დაინახა. ფარნის ელემენტები დამჯდარი ჰქონდა ასანიძესაც. თავადის ფაქტიც კი, რომ ამ სიღრმის გვირაბიდან ასანიძეს ფეხით დაბრუნება უხდებოდა, დარღვევაა, რადგან მაღაროს ადმინისტრაცია ვალდებული მუშების სამგზავრო ვაგონებით გამოყავანა უზრუნველყოს. იმის მიუხედავად, რომ ასანიძეს სიცოცხლე არასათანადო ტექნიკურმა აღჭურვილობამ და შრომითი უსაფრთხოების სტანდარტის დარღვევამ იმსხვერპლა, „ჯორჯიან მარგანეზის“ ადმინისტრაციამ დაღუპულის ოჯახისთვის კომპენსაციის გადახდაზე უარი თქვა. „ეს გადააბრალეს ელმავლის მემანქანეს, დეპოს უფროსს, ტრანსპორტის უფროსის მოადგილეს და მათ გადაახდევინეს 5000-5000 ლარი. ჯორჯიან მანგანეზმა ერთი კაპიკი არ გაიძეტა დაზარალებულის ოჯახისთვის, სანამ სასამართლომ არ აიძულა.“ – იხსენებს შეყილაძე. „სასამართლოს ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ უბედური შემთხვევის მიზეზი მოძველებული ელმავალი გახდა. ამ ელმავალს მხედველობის ნაკლები არე აქვს და განათება გაფუჭებული რომც არ ყოფილიყო, ელმავლის მემანქანე ტრაგედიას ვერ აიცილებდა. დღეს კი იგივე ტიპის მოძველებული ელმავლები შემოიყვანეს „ჯორჯიან მანგანეზში“. ვინ არის პასუხისმგებელი, რომ მომხდარი აღარ განმეორდება?“ – კითხულობს პროფესიონელი ლიდერი.

გოჩა ალექსანდრია სიტუაციის შესაცვლელად აუცილებლად მიიჩნევს სახელმწიფო ორგანოს შექმნას, რომელიც გააკონტროლებს, რამდენადად დაცული უსაფრთხოების პირობები სხვადასხვა სამსახურებში. ეს ფუნქცია ადრე შრომის ინსპექციას ეკისრებოდა. შრომის ინსპექცია „ვარდების რევოლუციით“

მოსულმა მთავრობამ 2006 წლის იანვარში შრომის კოდექსის შეცვლასთან ერთად გააუქმა ისე, რომ შრომის ინსპექციის ფუნქციები სხვა რომელიმე ორგანოს არ შეუთავსებია. ახალი შრომის კოდექსი, რომელიც დღემდე მოქმედებს და უფლებადამცველებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მკაცრი კრიტიკის საგანია, ალექსანდრიას თქმით, უსაფრთხო შრომასაც არასათანადოდ იცავს.

„კოდექსის იმ თავში, რომელიც შრომის უსაფრთხოებას ეხება, სამარცხვინო ჩანაწერია: იქ წერია, რომ დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო შეუქმნას. ასეთი ჩანაწერის არსებობა ცივილიზებული ქვეყნისთვის დაუშვებელია. „მაქსიმალურად უსაფრთხო“ ვარირებადი ტერმინია – ვიღაცისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა შეიძლება მხოლოდ ჩაფხუტით უზრუნველყოფა იყოს, ვიღაცისთვის კი ჩაფხუტი და ქამარი, რომლითაც სიმაღლეზე მუშაობისას უნდა დაემაგროს. შრომა უნდა იყოს არა მაქსიმალურად, მეტად ან ნაკლებად, არამედ საკეთო უსაფრთხო“ – მიიჩნევს ალექსანდრია.

საქართველოში 28 აპრილის აღსანიშნად და უსაფრთხო შრომის მხარდასაჭერად გერმანიის ბუნდესტაგის წევრი, კლაუს ბრანდერიკ ჩამოვიდა. „ლიბერალთან“ საუბრისას მან აქცენტი შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვაში სახელმწიფოს ბუნებრივ ინტერესზე გააკეთა. „ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკოსებმა გაიგონ, რომ შრომის პირობების გაუმჯობესება ქვეყნის კონკურენტუნარიანობას არ შეამცირებს, არამედ პირიქით. ამის მაგალითი გერმანია: ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ მოქალაქები ღირსეულ პირობებში შრომობდნენ. სწორედ ასეთი მიდგომის შემთხვევაში შეიძლება დასაქმებულებმა თავი მთლიანი პროცესის ნანილად იგრძნონ, კონკურენტუნარიანად იშრომონ და ქვეყანაც წინ ნასწინონ“ – მიიჩნევს ბრენდერი.

გოჩა ალექსანდრია კი აქცენტს უსაფრთხო შრომის უზრუნველყოფის ეკონომიკურ ეფექტზე აკეთებს. მისი თქმით, შესაძლოა, ცალკეული დამსაქმებლისთვის დასახიჩრებული თუ დალუპლული მუშა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდეს, რადგან კომპენსაციის გადახდის ვალდებულების თავიდან აცილებას ახერხებენ, დაზიანებულ მუშას კი სხვა

- ამჟამად საქართველოს პროლამენტი განიხილავს შრომის კოდექსის ახალ პროექტს, რომელიც იურისტების შეფასებით, უფრო დაბალანსებულია და დასაქმებულების უფლებებს წინა კოდექსთან შედარებით უკეთ იცავს. თუმცა, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქვეთავი პროექტში წინა კოდექსიდან უცვლელადაა გადმოტანილი.



მშრომელით იოლად ჩაანაცვლებენ. მაგრამ სახელმწიფოსთვის ასეთი ფაქტების გახშირება წამგებიანია, რადგან მოქალაქე, რომელიც ადრე შრომობდა და ბიუჯეტის კონტრიბუტორი იყო, თავად ხდება ბიუჯეტის მომხმარებელი – ის დაზიანების გამო პენსიას იღებს, დალუპვის შემთხვევაში კი მის ოჯახს მარჩენალდაკარგულობის შემწეობა ენიშნება. ამიტომ, ალექსანდრია მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მონოდებული უნდა იყოს მოქალაქეთა შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად და ეს სხვადასხვა რეგულაციებით განახორციელოს.

ამჟამად საქართველოს პარლამენტი განიხილავს შრომის კოდექსის ახალ პროექტს, რომელიც იურისტების შეფასებით, უფრო დაბალანსებულია და დასაქმებულების უფლებებს წინა კოდექსთან შედარებით უკეთ იცავს. თუმცა, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქვეთავი პროექტში წინა კოდექსიდან უცვლელადაა გადმოტანილი. პროფესიული კავშირების გაერთიანებაში, რომელიც ქვეყანაში დასაქმებულთა ყველაზე მსხვილ ასოციაციას წარმოადგენს,

იმედოვნებენ, რომ შრომის კანონდებლობის დახვეწა ეტაპობრივად გაგრძელდება და სამომავლოდ შრომის უსაფრთხოებასთან და შრომის ინსპექციასთან დაკავშირებული მუხლებიც შეიცვლება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უკვე განიხილავს შრომის უსაფრთხოების მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოს შექმნის იდეას. როგორც „ლიბერალთან“ საუბრისას სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი პაატა უორულიანი აცხადებს, ამჟამად უწყებათაშორისი კომისია კომპეტენტება, რომელმაც მაკონტროლებელი ორგანოს კონცეფცია უნდა შეიმუშაოს. კომისიაში სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად პროფესიული დავადებების ინსტიტუტის და შრომის პიგინის კათედრის წარმომადგენლებიც შევლენ. შრომის ინსპექცია მოქმედებას სავარაუდოდ 2014 წლისთვის დაიწყებს. მანამდე კი სამინისტროში შრომის საკითხებს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ახალშექმნილი დეპარტამენტი კურირებს. **¶**

ფოტორეპორტაჟი





"სუსაძლი განდევნების!"

გიორგი გოგუა

ფოტორეპორტაჟი

პირველ მაისს მშრომელთა სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილ აქციას სტუდენტური გაერთიანება, ლაბორატორია 1918 რამდენიმე კვირით ადრე აანონსებდა. მათივე განცხადებით ეს უნდა ყოფილიყო „მშვიდობიანი, მაგრამ ხმაურიანი მსვლელობა“, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ დაწყებული დემონსტრაცია არცთუ მშვიდობიანად დამთავრდა.

აქციის მონაწილეებმა მსვლელობა ვარაზის ხევიდან, ალმაშენებლის გამზირის გავლით დაიწყეს საქმაოდ თამამი და ხმაურიანი შეძახილებით: „ძირს კაპიტალისზე!“, „ფულისგან ჯიბეები ხომ

არ გისკდებათ, ღორებო“, „მუშა და არა მონა“.

ტრანსფარანტებითა და შესასხურებელი სალებავებით „შეიარაღებული“ დემონსტრანტების მსვლელობა ალმაშენებლის გამზირამდე საკმაოდ მშვიდად გრძელდებოდა, სანამ პოლიციასთან პირველი შეხელა-შემოხლა არ მოხდა. სამართალდამცავები მომიტინგე ახალგაზრდებისაგან გზის სავალი ნაწილის გათავისუფლებას ითხოვდნენ, რაზეც უარი მიიღეს. დაპირისპირება სწორედ ამის შემდეგ დაიწყო.

პირველი შეტაკების შემდეგ, მსვლელობას, რომლის მოწოდებებიც თავიდან, ძირითადად, სოციალური თემებით შემოი-

ფარგლებოდა, ახალი ლოზუნგი დაემატა: „სისტემა უნდა დაინგრესი!“.

თუმცა სიტუაცია საბოლოოდ მანამ არ გამწვავებულა, სანამ სამართალდამცავებმა პირველი დემონსტრანტი არ დააკავეს.

პოლიციელები აქციას ელბაქიძის ალმართიდან გზის გამყოფი ზოლის გასწვრივ მოჰყვებოდნენ. მათი რაოდენობა უფრო და უფრო იზრდებოდა, ხოლო რესტაველის გამზირზე მომიტინგეთა ირგვლივ უკვე რამდენიმე ათეული პოლიციელი და ავტომანქანა იდგა. აქციის ორგანიზატორების დაკავება სწორედ აქ დაიწყო, რასაც სამართალდამცავებსა და



დემონსტრაციებს შორის ფიზიკური და-პირისპირება მოჰყვა.

პოლიცია, რომელსაც ქუჩის ერთი ნა-ნილი უკვე მთლიანად დაკავებული ჰქონ-და, უურნალისტების მიმართაც საქმაო სიძეცრით გამოირჩეოდა. „შშვიდობინი უურნალისტები შეა ქუჩაში არ დადინ“ ამბობდნენ ისინი და ცდილობდნენ, რე-პორტიორები მოვლენების ცენტრისაგან მაქსიმალურად მოეშორებინათ.

აქციაზე „ლაბორატორია 1918“ ის წე-ვრების უმრავლესობა და ორი უურნალის-ტი (მე-9 არხისა და უურნალ „ლიბერალის“) დააკავეს, თუმცა ყველა დაკავებული იმავე სალამოს გათავისუფლდა. ☐



ფოტორეპორტაჟი





ფოტორეპორტაჟი







„ჩვენ ვართ ხელისუფლება, ეს არის სახელმწიფო. შესაბამისად სწორი გზა უნდა ავირჩიოთ. მივმართავ საზოგადოებას, თუ გინდათ ქაოსი, მხარი უნდა დაუჭიროთ გუშინდელ არასასიამოვნო ფორმებს. ხოლო თუ გინდათ დაწყნარებული, დამშვიდებული სახელმწიფო, უნდა იყოთ ობიექტური და სიმართლის მხარეს. პოლიციამ საკმარისზე მეტი მოითმინა“.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი 1 მაისის დემონსტრაციის დაშლის შესახებ



„ვიდეომასალაზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ უზარმაზარი პროგრესია 7 თვის განმავლობაში პოლიციაში, განსაკუთრდებით იმის გათვალისწინებით, რომ ისინი იგივე ადამიანები არიან. აქ კარგად ჩანს პოლიტიკური ნება, რომ არ უნდა ცემო, არ უნდა დაასახიჩრო და კულტურულად მოკიდო ხელი“.

პარლამენტის წევრი თინა ხიდაშელი



„მე ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მიმდინარე მოვლენებზე. დღეს, მთავრობის სხდომაზე ვითხოვე უფლებამოსილების შეჩერება, სანამ სიმართლე არ გაირკვევა და ამ ადამიანების უდანაშაულობა არ დადასტურდება. მიმდინარე პროცესებში ნებისმიერი სახის ჩარევა, ზეწოლა და მანიპულირება ძალიან ცუდი იქნება. ვაცადოთ შესაბამის ორგანოებს დაადგინონ სიმართლე. რაც მთავარია, გავითვალისწინოთ ერთი რამ – უდანაშაულობის პრეზუმაცია“.

სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე



www.uchnobifm.ge



ყველაზე საინტერესო
პროფესიონალუ ყველაზე
ანიმაციუროვანი
ეკრანი
პასუხისმგებელი



PROFY
ყმა 15:30